

არაფერი ვთვათ, საშუალება არა აქვთ, მოვიდნენ მათთვის ესოდენ ძვირფას, დიდი მეცნიატების, სარაჯიშვილისა და ხოშტარისა ნაანდერძევ შენობაში, მიუსხდნენ ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში ფართო მაგიდას და სხვა თუ არაფერი, ლიტერატურულ პრესას მაინც გადახედონ. ან მწერალთა კავშირის ბაღში გავიდნენ და იმ სკამებზე ჩამოსხდნენ, რომლებზეც მათ ათწლეულების განმავლობაში უნახავთ თავიანთი ნეტარხსენებული კოლეგები — გალაკტიონი და გამსახურდია.

ვინ დაუშალათ?

მწერალთა ბიბლიოთეკის გაცამტერებაზე უკვე მოგახსენეთ; ნატაშა ლომოური როგორ დაუშვებს, რომ მწერლის სახლში მწერალთა მაგიდაზე ლიტერატურული პრესა იდოს და მწერლებმა გადაიკითხონ.

რაც შეეხება მწერალთა კავშირის ბაღს, იქ ნატაშას განკარგულებით ძვირადლირებული რესტორანია გახსნილი და ამ ქესატობის დროს, ისედაც ჯიბეცარიელი მწერალი იმ რესტორნის კლიენტობაზე ვერც იოცნებებს.

მწერალთა სასახლის მესამე სართულზე ნატაშამ გახსნა ხუთომრიანი სასტუმრო. ეს სასტუმრო საქართველოს რაიონებიდან ან უცხოეთიდან ჩამოსულ მწერლებს უნდა მომსახურებოდა. კონკრეტულად იმათ, ვისაც თბილისში ღამის გასათევი არ გააჩნია. ამჟამად მსგავსი არაფერი ხდება. ბიუჯეტში არ შედის ამ სასტუმროდან არც ერთი კაპიკი. არაფერს ვიტყვით იმ ჭორებზე, რაიც „მწერლის სახლის“ სასტუმროს ირგვლივ ტრიალებს.

იცით თუ არა თქვენ, ქალბატონო მინისტრო, რომ მწერალთა კავშირის ისტორიულ შენობაში თუნდაც ათი წუთით სურათის გადასაღებად შესვლა უბრალო მოქალაქისთვის 350 ლარი ღირს?

ეს რომ გაეგოთ სარაჯიშვილს და ხოშტარის, ჯავრისგან საფლავში გადაბრუნდებოდნენ.

2007 წლის იმ საბედისნერო ღამეს ზონდერ-ბრიგადამ მწერალთა სასახლის უძვირფასესი მემორიალური ნივთები ქუჩაში რომ მოისროლა, სამუდამოდ დაგვეკარგა გალაკტიონის მხრებით მოტანილი წიგნების კარადა, კონსტანტინე გამსახურდის სავარებელი, რომელზეც ჩვენი ლიტერატურის ქორა მახში მარტო თვითონ ჯდებოდა, დავით სარაჯიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი აკაკი წერეთლის მინანერითურთ: „დათიკო, ეს რა განდი გქონია“, და ა. შ. ასევე დაიკარგა ლადო ასათიანის ლექსების პირველი

აკრძალული წიგნი, ცენზურას რომ გადაურჩა და მწერალთა კავშირში სასოებით ვინახავდით. გაანადგურეს და ქუჩაში გადაყარეს „მწერლის გაზეთის“ არქივი.

ვინ აანაზღაურებს ამ დანაკლისა? ვინ დაისჯება ამ გაუგონარი ყაჩალობისთვის?

დრო უღმობლად გარბის.

მადლობა ღმერთს, ქართველ მწერალთა რიგები დღითიდღე იზრდება, ერის კეთილი მრჩეველი და მესაიდუმლე მწერალი კვლავაც ერთგულად ემსახურება თავის ბედუელმართ სამშობლოს, კვლავაც ერთგულად მიჰყება ილია ჭავჭავაძის ნაჩვენებ გზას, მაგრამ მხატვრული სიტყვის ახალგაზრდა ოსტატთა შორის ცოტა როდია ისეთი, რომელსაც ფეხი არასოდეს შეუდგამს თავის სასახლეში. იმ სასახლეში, რომელსაც ილიას და აკაკის აჩრდილები დღესაც ახსოვს.

სააკავშირმა მხოლოდ შენობა როდი წაართვა ქართველ მწერლებს. მან ქართული ლიტერატურის ისტორია შეაჩერა. მან ასწლოვანი ტრადიცია გაანადგურა. მან მაჩაბლის ქუჩას ფუნქცია წაართვა. მწერალთა თაობების სვლა შეაჩერა ამ ქუჩით. დიახ, მან სასახლის წარმევით ტრიბუნა წაართვა ქართველ მწერლებს და თქვენი, როგორც კულტურის მინისტრის ისტორიული მისიაა, დაუბრუნოთ ეს ტრიბუნა ათასამდე ქართველ მწერალს.

P.S. დიდი ქართველი მწერლები ისე აღესრულნენ, რომ საფლავში წაიღეს ნატვრა საქართველოს მწერალთა კავშირს კუთვნილი შენობა დაბრუნებოდა.

აი, რას წერდნენ ისინი ამ ვანდალურ ფაქტზე:

ჭაბუა ამირეჯიბი:

გარდა იმისა, რომ ეს გაუგონარი ყაჩალობაა, დღისით, მზისით ჩადენილი, უპირველესად ეს გახლავთ შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძისა და ყველა დროის დიდი თუ პატარა მწერლის მხეცური შეურაცხყოფა.

მაკვიცებს ამ ქესპროპრიაციის სულისჩამდგმელის გულუბრყვილობა.

ოთარ ჭილაძე:

სრულებითაც არ არის გასაკვირი, თუკი ხალხის ცნობიერებაში ქართული მწერლობა და საქართველოს მწერალთა კავშირი ერთმანეთთანაა გაიგივებული, გარკვეული თვალსაზრისით აღბათ ამ მიზნითაც დაარსდა მწერალთა კავშირი. თავიდანვე, იმპერიის ტყვეობიდან

გათავისუფლებისთანავე, აქედან გამომდინარე, როცა დღეს, თუნდაც ფორმალურად, თავისუფალ საქართველოში ზოგადად მწერალთა კავშირს ვუპირისპირდებით (სულერთია, რის გამო და რა მოტივით), ნებისით თუ უნებლიერ, შეგნებულად

თუ შეუგნებლად, ინერციით თუ გეგმაზომიერად, უპირველეს ყოვლისა, საუკუნის მანძილზე და, მხოლოდ და მხოლოდ, ქვეყნის ინტერესების შესაბამისად ჩამოყალიბებულ შეხედულებებს ვარეულ ხალხის ფიქიაში. ეს კი, დამეთანხმებით, მეტი რომ არა ვთქვა, დიდი შეცდომაა ნებისმიერი გონიერი ადამიანისათვის, რომლისთვისაც სულერთი არ არის ქვეყნის მომავალი.

ანა კალანდაძე:

მწერალთა კავშირი, მე ეს ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, არის ეროვნული დაწესებულება, რომლისაც ყველას სჯერა და ყველასთვის საჭიროა. ამიტომ ჩემთვის გაუგებარი და აუხსნელია ეს ფაქტი. როგორც გავიგე, სასამართლო დანიშნულია და იმედი მაქს, რომ ის მწერლების სასარგებლო განაჩენს გამოიტანს.

ოტია იოსელიანი:

ჩვენს თავს დიდი უბედურება ტრიალებს. სიმართლე გითხრათ, ეს უბედურება როგორ უნდა შევაფასო, არც ვიცი, ათას მომხდურს არ უქნია ჩვენთვის ის, რასაც ეს ხელისუფლება ბედავს და აკეთებს. „დედაენა“, ჩვენი წმიდათანმიდა წიგნი, „ჩაასწორ-შეაღამაზეს“ და ბავშვებს თავგზას უბნევენ, ბიბლიოთეკები გააუქმეს და შენობები გაყიდეს, ახლა ჯერი მწერალთა სასახლეზე მიღვა? საით მივდივართ, გამოქვაბულისკენ?

ნოდარ წულეისკირი

საუკუნეების კრიალოსანში XXI საუკუნე ყველაზე ცივილიზაციულ, მშვიდ და განონასწორებულ საუკუნედ წარმომედგინა. ჯერ საუკუნის მეათედიც არ გასულა და უკვე არნახული ვანდალიზმისა და ბარბაროსობის მოწმენი გავხდით.

დიახ, ბატონებო, საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლის იავარქმნა, მისი წაბილნვა ღამით, ქურდულად, მიპარვით, ძალადობით საქართველოს მატიანის ერთ უბნელეს ფურცლად იქცა უკვე. ვის ებრძვით, ქვეყნის ხელისუფლობრივი კართველ მწერლებს, მათ უმშვე-

ნიერეს სასახლეს თუ იქ ჩაბუდებულ საქართველოს სულს, რომლის წინააღმდეგ გაღამაშება თქვენი სრული ზეობრივი კრახით დასრულდება. გონის მოეგეთ!

მწერალთა კავშირის შენობის ოკუპაცია მთელმა ცივილურმა სამყარომ შეიტყო. ვიღებდით თანადგომის წერილებს სხვადასხვა საერთაშორისო შემოქმედებითი ორგანიზაციებიდან.

გთავაზობთ ერთ-ერთ წერილს:

საქართველოს მთავრობას:

როგორც პრეზიდენტი TSWTC-სა, რომელიც აერთიანებს ევროპის ქვეყნების მწერალთა 17 კავშირს საბერძნეთის კუნძულ როდის სხიუნეს ეგიდით, ღრმად ვწუხვარ, რომ მთავრობამ იმ ქვეყნისა, რომელიც აღგვაფრთვობანებს თავისი უნიკალური კულტურული მემკვიდრეობით და ღირსებულებით, საჭიროდ ჩათვალაგადაედგა ეს ამაზრზენი ნაბიჯი, რომელმაც შესაძლოა აუნაზღაურებელი ვნება მიაყენოს საქართველოს რეპუტაციას და კეთილი იმიჯს მთელ მსოფლიოში.

ამიტომ მე მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას და ეკონომიკის განვითარების სამინისტროს, გაითვალისწინონ კულტურული პასუხისმგებლობა ქართული ლიტერატურული გაერთიანებისადმი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მთლიანად ევროპაში, უზრუნველყონ საქართველოს მწერალთა კავშირის ამ სახელგანთქმულ სასახლეში მათი ყოფნის შემდგომი უფლება.

იმედით აღვისილი გიძლვით საუკეთესო სურვილებს!

პიტერ კურმანი

TSWTC -ს პრეზიდენტი, შევედეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე 20 აგვისტო, 2007 წ. სტოკჰოლმი-როდისი

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ნუთუ დასასრული არ უნდა ჰქონდეს, ქართველ მწე



რევაზ მიშველაძე

დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ №3

28/IV 89

მცხეთაში სოფელ საგურამოს ვენეციეთ
მე და მედეა კახიძე.

შევეღდრა თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა.

გვეკითხებოდნენ ყველაფერზე და განსაკუთრებით ცხრა აპრილის ტრაგედიაზე.

რა გზას დავადგეთ, რა გველის, როგორ გადავირჩინოთ თავით.

მიყვარს ამგვარ „უსანქციო“ შეხვედრებზე გამოსვლა.

მოვხსენი გუდას თავი და ვიღაპარაკე. ჩვენი მთავარი საქმე ახლა ჩვენი ეროვნული სახის შენარჩუნებაა.

რუსეთი სანუკარ თავისუფლებას საქართველოს ცოცხალი თავით არ მისცემს, იმპერიის რდვევა დაწყებულია. ეს რამდენიმე წელიწადში თავისთავად მოხდება, მთავარია, ჩვენ ახლა თავი გადავირჩინოთ-მეთქი.

ლამის კბეზე ჩამოვყვნენ შეკითხვებით.

როგორაა ხალხი აქორილი და გაღვიძებული!

29/IV 89

დღეს, 11 საათზე, კინოს სახლში საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა ჩავატარეთ.

რუსთაველის საზოგადოებამ, რომელიც აკაკი ბაქრაძის არჩევამდე (2 თვე არცა) ფიქტიურად არსებობდა, თავის უბეში მოიქცია და აშკარად დაჩაგრა ე.ნ. დემოგრაფიული ფონდი. ჩვენ შევიკრიბეთ, რათა რუსთაველის საზოგადოებას გამოყოფს დემოგრაფიული ფონდი და ცალკე საზოგადოებად ჩამოყალიბდეს.

ამაზე ფაქტიურად ა. ბაქრაძეც თანახმა, მაგრამ, რატომდაც ყრილობაზე მ. მაჭავარიანი და ა. ბაქრაძე არ მოვიდნენ.

ყრილობა აკაკი ჯორჯაძემ გახსნა.

მოხსენება მიხელ ქურდიანმა გააკეთა.

პირველი სიტყვა მე ვთქვი. აღვნიშნე, რომ ამ საზოგადოების პროგრამაში, რა საათზე

იყოს საქართველოს ეროვნულ-დემოგრაფიული გადარჩენა. მოვიტანე უამრავი მაგალითი იმისა, თუ როგორ

იტაციებენ და იპყრობენ ქართულ მინებს უცხო ტომის ნარმობადგენლები.

შევეხე აფხაზებად თავგასაღებული ადილეველი

ტომების საკითხებაც. კონკრეტულად ჩამოვაყენები ამ საზოგადოების უახლოესი

ფუნქციები: საქართველოს დემოგრაფიული მოწესრიგება: არაკონსტიტუციური

, ავტონომიების „გაუქმება. ხელისშეწყვის სატაცვა თქვა“, ი. ბეგიაშვილი, ლ. სანიკიძე, ტ. მებურიშვილი და სხვები.

შემდეგ გამოვიდნენ 6. ნათაძე, 6. ნულეისკრი, ი. იაშვილი, ი. სარიშვილი (გ. ჭანტურიას ცოლი, ორი დღის გამოშებულია ციხიდან, მშვენიერი სიტყვა თქვა), ი. ბეგიაშვილი, ლ. სანიკიძე, ტ. მებურიშვილი და სხვები.

ავირჩიეთ გამგეობა. თავმჯდომარედ ჩემს მიერ შეთავაზებული ლ. სანიკიძის კანდიდატურა გავიდა.

იქვე 6. ნათაძემ განზე გამინვია და მითხვა; სახალხო ფრონტის მუშა ჯგუფმა გადაწყვიტა, მწერალთა კაშვირის სახალხო ფრონტის ორგანიზაციის შენ ჩაუდგე სათავეში. ერთ კვირაში სხდომა უნდა ჩავატაროთ და გამგეობა ავირჩიოთ.

30/IV 89

დღეს აღდგომაა.

ქრისტე აღსდგა! — ტელევიზიამაც კი მოგვილოცა ამ დილით.

პრესადა ტელევიზიასაინტერესოგახდა:

ყოველ ღამე აცხადებს „ვრემია“, შემოწმებამ დაადასტურა, რომ 9 აპრილს გაზი და ქიმიური იარაღი ჯარს არ უბრავია. სამაგიეროდ, ყოველდღე აცხადებს საქართველოს ტელევიზია: საქართველო პროტესტს გამოთქვამს, „ვრემია“ ინფორმაცია ჭორიაო.

ასეთ „სამართლებრივ სახელმწიფო-

არაუშავს, მებრძოლი ნომერია.

ყდაზე დაგეხტდე 9 აპრილის სამდიმარი, გრძელი ჯულუბიდის ლექსი და მწერალთა „დეპარტები“ ცხრა აპრილთან დაკავშირებით.

მოწინავეშიც გავაპარე ცხრა აპრილის შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ მთავლიტი ძალიან იყბინება.

მთავლიტი კვლავ საზიზლრად მთავლიტობს. მთავლიტმა „ლიტერატურული საქართველოდან“ 9 აპრილზე დაწერილი ნოველა ამომილო, მაგრამ ხალხმა ქუჩაში რომ გააკარ ნანერები ამ ძალადობის შესახებ, მთავლიტი შეშინდა და იძულებული გახდა მომდევნო ნომრისოვის დაერტყა ბეჭედი და 28 აპრილის გაზეთში გაუშვეს. ნოველას პეტრი „ნარდვნით ჩატცეულ ნაპირზე“ და პირველი პროზაული (დაბეჭდილი) ნანარმოებია 9 აპრილის თემაზე.

სადამოს რვა საათზე დამბარა ცეკას პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ და

ხალხს უნდა დაელაპარაკო. მათ ბევრი რამიციან და ბევრსაც შენგან მოელიან. კარჩა-კეტილი მზერალი ერის მწერალი არ არის.

ჩემს ახალ პიესას — „ნაპრალი“ დაგამსფორის თეატრის თეატრი და ბოლნისის თეატრი. მგონი, ქუთაისიც, თუ სვანეთი პირი არ მიშალა. ვერ ჩანს მთლად პირიან კაცი.

ბოლნისიდან ჩამოვიდა ახალგაზრდა რეჟისორი — ზურაბ ხვედელიძე. თქვენი ნოველები ძალიან მომწონს, რაიმე პიესა ხმო ვერ გამოიმეტებთო.

უარს რატომ ვეტყოდი. აქ კი თბილის თეატრები ხელს მაფარებენ. სანამდე?

3 საათზე გუმბარიძეს რედაქტორების თაბირი ჰქონდა. ახალი არაფერი უთქვამს. დაპირებები და დაპირებები... თანაც დამშვიდებისკენ და გონიერებისკენ მოწოდება.

რა დამშვიდებს საქართველოს, რომელიც ქრება ჩვენს თვალწინ.

როგორ შეიძლება დამშვიდება.

6/V 89

დღეს გვაცნობეს ტელევზიდან, რომ მთავლიტმა ჩვენი გადაცემის გაშვებაზე უარი თქვა.

ესცე ჩვენი სიტყვის თავისუფლება.

საოცარია, „ახალგაზრდა კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში მთლიანად და უფრო მნივედ, ვიდრე ტელევიზიაში ვილაპარაკე, დაგეხტდე წერილი იმის შესახებ, თუ როგორ ჩაგრავენ თამარისში ქართველებს. წერილს პეტრი „ესაა ქვეყნის პატრონობა და სამართალი?“

რისი დაბეჭდვაც გაზეთში შეიძლება, ტელევიზიით ვერ გადაიცემა?

საღამოსპირს, 5 საათზე ვერცი ქავთარაძის ქუჩაზე 2 საავადმყოფოს მოშიშილეთა და მონამლულთა მოსანახულებლად.

მოვიარე პალატები ექიმ ნატოს თანხლებით.

მძიმე მდგომარეობა.

ბევრ მათგანს წვეთოვანი უდას. საყლაპავი მილი პარალიზებულია, კუჭი საჭმელს ვერ ინელებს, მეხსიერება დაქვეითებული აქვთ, შეინიშნება ცნობიერების დაკარგვა დღეში რამდენჯერმე.

ფერდაკარგული, წვეროსანი ბიჭები, თვალებჩაცენილი, ტურებშეტეორებული რაგონები. რა დამშვიდებაც ვიცნობდი, მაგრამ ახლოს არა.

უფრთხო ერის მოთხოვნებს საქმით უნდა ვუპასუხოთ და არა დაპირებებით-მეთქი.

ჩამოუკაულე ჩემი ეროვნული და სოციალური პროგრამა:

აჭარელი სტიქიაში მოყოლილები წარაპასა, ბოგდანოვებასა და ახალქალაქში უნდა ჩასახლოთ-მეთქი.

სერგო ორჯონიკიძის ძეგლი უნდა აიღო-მეთქი.

გალაკტიონის მუზეუმი უნდა გახსნა-მეთქი თბილისში.

რუსთაველის მაღაზია-სალონი უნდა გაიხსნას-მეთქი.

დემოგრაფიულ საზოგადოებას ხელი უნდა შევუწყოთ-მეთქი.

უკადნი მომისმინა, თითქმის მომისმინა და მისმინა უნდა მოგიწოდოთ.

მეორე სართულზე 211-ე პალატაში რვა ბიჭი შიმშილობს.

ეს აქცია მიმართული სამხედრო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ენერგიულად ცდილობს მონამლულის ფაქტის მიზუმათებას და შესაბამისი წამლის არგამელია.

მეორე სართულზე 211-ე პალატაში რვა ბიჭი შიმშილობს.

ეს აქცია

8/V 89

მუხათწყაროში აგარაკზე ვარ. მოვიძლე გული ტყეში სიარულით.

გაღვიძებული, აფეთქებული ბუნება! ხემ არც ინტრიგა იცის, არც თავისუფლებისათვის ბრძოლა, არც მიტინგი და დემონსტრაცია.

ღამით ტყეში, მთელი ღამე მიკიოტი ჰქონდა.

9/V 89

კუს ტპაზე მე და აჩიკომ დიდხანს, გემრიელად ვივაჯიშეთ.

აფსუს, ვერდები! როგორ მიყვარს სპორტი. ერთადერთი, რაზეც სიბერის გამო გული მწყდება, ის არის, რომ ველარ ვირბენ, ჩოგბურთს ვერ ვითამაშებ, თხილამურებით ვერ ვისრიალებ.

საღამოს მე და სოსო ბუხაიძე წეველებაზე ვიყავით ჩვენს მეგობარ ლამარა მინდორაშვილთან (სამოცსგადაშორებული, მარტოხელა ქალია. მეცნიერობს). ვითამადე. ოციოდე კაცი შევიკრიბეთ. დიდხანს, სევდიანად ვისაუბრეთ საქართველოს ჭირ-ვარამზე.

10/V 89

„კრიტიკაში“ დავაღამე.

მურმან ჯგუბურია იჯდა დიდხანს ჩემს კაბინეტში.

ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ დრო ელვისისნაფით გარბის. სიტუაცია, ცხოვრების სტილი იცვლება. ჩვენი აზროვნებაც უნდა შეიცვალოს. ეპოქას უნდა ავაყოლოთ კალამი. ახლა „ტრადიციული ხელწერა“ არ გამოდგება.

ვილაპარაკეთ იმაზეც, თუ როგორ დალუპა კონიუნქტურამ და პანეგირიკმა არაერთი ნიჭიერი მნერალი ნარსულში. ამ საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურული ბრძოლებიდან სუფთად მხოლოდ გაღიატიონი, ჯავახიშვილი, გამსახურდია და კიდევ რამდენიმე მნერალი გამოვიდნენ.

შინისაკენ რომ მოვდიოდი, რადიო „უიარაღოს (კონდრატე თათარაშვილი) ცნობილ მოთხოვნას „მამლუქს“ გადმოსცემდა. ჩემი ბავშვობის მოთხოვნა. რამდენჯერ მიტირია ქართველ მამლუქთა უბედურ ბედზე.

მშვენივრად მახსოვს „მამლუქი“ ასე მთავრდებოდა:

„ლმერთმა ხომ იციოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი.

ორივენი ბედრული საქართველოს მვილები იყვნენ“.

რადიოდადგმაში კი ასე შეუცვლიათ:

„სინამდვილეში, არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი.

ორივენი იმდროინდელი, ბედრული საქართველოს შვილები იყვნენ“.

აი ჩვენი „რეანის რედაქტორების“ და „მოუსყიდველი მთავრიტის“ მშვენიერება.

რა საძალობაა, ღმერთო ჩემო. ღმერთი არ არსებობს და რა უნდა იცოდეს (ლოგიკა!) ბედრული თანამედროვე საქართველო ხომ ვერ იქნება, უსათუოდ უნდა დავაკონკრეტოთ და „იმდროინდელი საქართველო“ უნდა ვუნდოთოთ.

მოფიქრება არ გინდა?!

11/V 89

დღეს დავწერე მიმართვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტისა და რესპუბლიკის პროკურორის — ვ. რაზმაძის სახელზე ფაკულტეტის სახელით: კათედრის გამგები და პროფესორები მოვითხოვთ, გაათვისეთ უფლობრივი და გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია, ი. წერეთელი...

მთელი დღე ხელმოწერების შესაბამის გარებაზე დავრბივარ. მაინც როგორ ვართ დაშინებულები. ზოგი ხელის კანკალით ანერს ხელს ზოგი ვაჟაცურად ანერს

და ისე შემომხედავს თითქოს თავი გასწირა და დაფინის გვირგვინით უნდა შევუმკოშუბლი. ყველამ მოაწერა ორი პროფესორის გარდა: ერთმა ენათმეცნიერმა აღშფოთება გამოოთქვა — რას ჰქვია გამოშვება, ისინი ციხეში ჩალპობის ლირსი არიანო. აი რას ჰქვია ვერაგობა. მეორემ, ანტიკური კულტურის სპეციალისტმა, მეო, კომისიის წევრი ვარ და ჩემგან ხელმოწერა უსერხელიაო. ხვალ მიკიტან გაზეთ „თბილისში“. იქნება რაიმე ვუშველოთ უსამართლოდ ციხეში ჩაყრილთ.

შეუდღისას უნივერსიტეტში მანანა არჩევაები მომავითხა. რა ვენათო, ხომ არ დავწეროთ განცხადება უნივერსიტეტის პროფესურის ხელმოწერითო!

უკვე დაწერილი მაქვს და ხელმოწერებზე დავრბივარ-მეტქი.

გაეხარდა.

12/V 89

დილით „თბილისში“ რედაქტორს — ა. გოგელისას მიუტანება განცხადება — 31 პროფესორის ხელმოწერილი. აჩიკომ დაიტოვა, მაგრამ შეყოყმანდა. გუმბარიძე „არაფორმალების გამოშვებას არ აპირებს და უნდა შევუთანხმო ამ განცხადების დაბეჭდვაო. დაცდილი მაქვს, რედაქტორი რომ შეყოყმანდება, ის მასალა არ დაიბეჭდება.

11 საათზე გავუყევით გზას მე და თამაზი (ჩემი მძღოლი) ბაღდადისაკენ! 2.30-ზე „მაიაკოვებში“ ვართ. რაიკომის პირველმა მდივანმა გაიოზ ნოზაძემ გულთბილად მიმიღო. სამ საათზე ღია ცის ქვეშ ახალგაზრდობას შევხვდი, საღამოს შვიდ საათზე რაიონის კულტურის სახლში დიდი საღამო გამიმართება. მოხსენები წაიკითხეს (მოკლე) გოგი ლაბაძე (მნერალი) და ანზორ ჯანელიძე (უურნალისტი) თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი ჩემზე სიტყვების თქმის მაგრამ დაგეგმილი ჰქონდა და ხელი ვერ შევუშალე.

ორ საათზე მეტ ხანს ვილაპარაკე. ვუპასუხე შეკითხვებს. დარბაზი გაჭედილი იყო, ფეხზე იდგნენ.

ერთმა სტუდენტმა მკითხა, თქვენ, ასეთი მართალი მნერალი რომ ხართ, მიკიორს ცხრა აპრილს სად მიმიმალეთი ისე, რომ არც გაღაბული ხართ და არც მონამლულო. ეს მითხვა შენიშვნის სახით. მე ვფიქრობი რომ მეტყოდა, მოხარული ვარ, რომ არ მოგხვდათ ნიჩაბით. თურმე, თუ დავდგებოდი სცენაზე და ვიყვირებდი, მე მცემები, მაშინ ვიქენებოდი კარგი კაცი. რა ვუყოთ, ახალგაზრდადა, ეპატიება.

დამება ბაღდადში გავათი.

აკადემიის კომისიამ გადაწყვიტა ქველი სახელები დაუბრუნოს ოზურგეთს, სარაგაულს, მარტვილს, სენაკს, ხონს — რატომდაც მაიაკოვესის სახელს არ შეეხნენ. ასე რომ, „მაიაკოვეს“ ჯერ არ უბრუნებენ ძველ სახელს — ბაღდადს. რატომ? ვერ გეტყვით.

13/V 89

შეუდღის ორ საათზე დავაღწიები თავი ბაღდადელ მასპინძლებს და ზესტაფონში ჩამოვედი.

რაიკომის მდივნები — ბესარიონი და ნათელა სიყვარულით შემომეგებნენ.

სასტუმროში დავისვენება და ექვს საათზე შორაპანს ვესტურებრე.

შორაპანის სახალხო თეატრს დაუდგამს ჩემი „უფანდუროდ სამღერი“.

დაიწყო სპექტაკლი. მღელვარება მიპყრობს. სახელმწიფო თეატრებში რა იყო და სახალხო თეატრის დადგმა რა იქნება.

დადგმამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჭეშმარიტად ამაღელვებელი სპექტაკლი დაუდგამს თამარ მუხურაძეს.

არ ველოდი.

ხალხი დიდხანს უკრავდა ტაშს. ორიგინალურადაა გადაწყვეტილი, ბაქრაძე საფლავიდან ლაპარაკობს.

ხალხი დარბაზში ქვითინებდა.

მერე ჩემთან შეხვედრა გაიმართა.

ისევ შეკითხვები, სიყვარული, კამათი.

და იყო დემონსტრაცია იმისა, თუ როგორ აფასებს ერი ჩემისთანა რიგით მნერალსაც კი.

ღამის 4 საათზე დავიძინებ.

14/V 89

დღეს კვირაა.

თბილისში დავბრუნდით.

„კომუნისტში“ ჩემი ნოველაა ლეკებზე „საყდარი სოფლის სასაფლაოზე“.

მესიამოვნა.

15/V 89

რესპუბლიკის პროკურატურის შენობაში დაინტერიერი მომავლი მიმავლინა სასამართლოზე ბეჭდებული, ნახევრადეროვნული ადამიანების იმედზე ნუ ვიქებითო. საღამოს გალახულივით მივდივარ სახლში. ასე მგონია, ერთი დღეც გავაცდინებთ. ერთი დღითაც დავაგვინეთ. თქვენ ძალიან პოპულარული კაცი ხართ და გაჩურმების უფლებები.

მიხარია, რომ საქართველო ერთი მიზნით ცხოვრობს, ერთ ფიქრს ემსახურება.

ოქმი. დაუძახეს და ახსნა-განმარტებანი (ფაქტიურად ჩვენებები) ჩამოართვებეს საქართველოს ყოფილი მთავრობის ხელმძღვანელებს. საჭიროა, დაასახელონ ნამდვილი დამნაშავე — რუსეთი. რას ელიან, კიდევ რას მოითხოვენ?



რომან ზუკაკიშვილი

როცა ფეხზე ხარ, თავს ძირს გიხრიან
ან ეჭვით, შურით ჭირს გიხლართავენ,
თუ დაეცემი, გადაგივლიან,
ნყალს ვიღაც მუდამ უმღვრევს სათავეს.
თვითონ მიხვდები, თუ ვინ ვინ არის,
თუმც ხან, ვაი რომ, დათმობაც გინევს,
ოღონდ სიკეთის ქმნას ნუ ვანანებთ,
ნურც გულგრილად ნუ უარვყოფთ სხვის
გზებს!

სანამ ხარ, რა ვქნათ, თავს გეხვევიან
ნაღდ ხალხზე უფრო მეტი ფლიდები,
დე, იყოს ასეც, ხომ უფრო ძნელია,
როცა აღარვის აღარ სჭირდება!

ის ლურჯი თვალებიდან კვლავ თენდება
და დღეს რაღაც სულ სხვა ვნება ეძალება,
როგორც ბედი, მუდამ იყო, ალბათ, შენთან
მოლოდინის ტანჯვაცა და ნეტარებაც.
ის ღრუბელი, რომ ბუდობდა შენს სიზმრებში,
ცრემლს შენსავით ვერ იკავებს აგრე აღარაც,
ეს ხილვა კი ისე გაჯადოებს ეშხით,
გრძნობა გულში როგორ უნდა დაგემარხა!
შეუცნობი აღტაცება გადაუვლის
და გადაშლის უცებ დღეთა ნაცრისფერებს,
ხვდები, ერთგული ხარ მდუმარ სასწაულის
სულის ამგვარ ჯვარცმადე და ჯვარცმის
მერც.

ამ ბილიკმა მერამდენედ დაგაბრუნა,
მერამდენედ გაგისხენეს ნახვის უმალ,
დაიჩოქა მზემწყურვალმა გაზაფხულმა
და შენი ხმით შეპლადა ლოცვა უფალს.
სასწაულიც სულ ძნელი გზით მოდის ასე,
მაგრამ მაინც სულში ნათელ კვალად რჩება,
განა მუდამ იმარჯვებენ ტრობის გზაზე?
თუმც თვით ტრობის უკვე ნიშნავს
გამარჯვებას.
საით ნახვალ, გაგიმართლებს საით უფრო,
სულერთია, სულთან გწყურის, სულო,
მისვლა,
შენ გაცოცხლებს აუხსნელი საიდუმლო
ის თვალთა ლურჯი უსასრულობისა.

ფიქრებმა ზურგი აქციეს სხვა გზებს
და დღეს ღრუბლის გზით ნასულან თითქოს...
გრგვინის და უცხო სიჩრუმის ზღვარზე
ჰავას მოლოდინი ცას, უნაპიროს.
წვიმა წამოვა და გადაფარავს
შენი ცრემლების სინათლეს, შემკრთალს,
იქნება ერთმა დევლმა ზღვარმა
გაგიხსნოს და წამოჰყევს შენს კვალს.
გრძნობ გადასფურენ სივრცეთა ელდას,
ყოველ ღრუბლით ახლო ხარ ისე,
იქ კი იმედი გულივით ფეთქავს,
სადაც ვიდაცას ახსოვარ ისევ.
სულ ჩქარობ... იქნებ დრომ არ გაგასწროს...
ამ დღესებ შენი გული თუმც ხვდება,
რომ ერთხელ ისე, როგორც არასდროს,
მოგენატრება აქ დაბრუნება.

მიფრინავენ წლები ისე, ვერც კი ვასწრებ
სათქმელს,
იმედი აქვთ ჩემივ სიზმრებს, რომ
შეეხვდებით სადმე-
ვის არ ვეამაყებოდი და ვახსოვდი ვის არ,
დღეს კი ჭუნება ბალი, კორდი ჩემი
ზაფხულისა!
მაგრამ მაინც ჩემ წილ ღელოს სამყარო ვის
ან დღის არ ერთი როგორ მევლო, ჩემი
გულის პატრონს!
ბედისნერა არ იძინებს, ქვას და ტალას
მტყორცნის,
ასე მიმაქვს ჯვარი, მძიმე, რაინდის და
მგოსნის.
ვერ მომტეხს ფრთები წლებმა, შევენირ
ფრთებს სულ,
დღეს გაფრენაც შეიძლება, ცა ისე ჰეგავს
ჩემს სულ...

დაუბერავს ქარი და ხეს ფოთოლი მოსწყდება,
ქარს გაჰყვება კვალდაკვალ დღეს ვიღაცის
ოცნება,
ხევ-ხევ ამოივლიან ისიფერი ბინდები...
ხომ დამღალე, ცხოვრებავ, მაინც არა
მწყინდება!
ვარსკვლავები თვალებში ისევ ჩაფრინდებიან,
როცა ერთურთს ვულიმით, თბილი ამინდებია.
გული-ათვლის წერტილი საზომია ასწლების,
სადაც უნდა წახვიდე, შენს თავს ვერსად
გასცდები!

მაღლობა

მადლს მაღლობისთვის კი არ აკეთებ,
მაგრამ მაღლობას რომ არ გეტყვიან,
გულს ეწყინება...
უმაღურობაც, ალბათ, შეამის ერთი წვეთია.
ხოლო ჩემ, როცა მაღლობას გვეტყვიან,
ვპასუხობთ ხოლმე ასე: „არაფრის!“
და ეს სიტყვა
თაობიდან თაობაში წესად გადადის.
იქნებ იმიტომ, რომ ვფიქრობთ, მოვალე
ვართ, გვევალა მეტიც,
იქნება მეტსაც იმსახურებს ის, ვინც
მაღლობას გვეტყვის.
იქნებ ესა სულმაღლობა და თავმდაბლობა,
მაინც ღვთიური სიტყვა არის სიტყვა —

მაღლობა.

რატომ არაფრის? იქნებ ამასაც განსჯა არ
უნდა,
მე მაინც ის ვთქვი, მაღლობის შესახებ რისი
თქმაც მსურდა.

ეგება ჯობდა, მაღლობის საპასუხოდ

ამგვარად გვეთქვა:

„მაღლის ქმნისა და დანახვის ნიჭი არ

მოგაელოს ღმერთმა!“

* * *

ღრუბლის ცრემლით დათოვლილხართ,
ჩემო მთებო,
ალარ გაკრთობთ ქარიშხლების მიმოფრენა,
სანუგეშო სიტყვა როგორ შემოგბედოთ,
თქვენს მზერაში სიმშეიდეა იმოდენა!
გავლილი გზა უტეკივილოდ არ არსებობს,
ზოგჯერ ერთი მოგონების ელდაც შეგშლის,
წლების სევდით დათოვლილი ძმაკებო,
მთელი ქვეყნის ფიქრს ვკითხულობ თქვენს
თვალებში.
მთებზე კი კვლავ ლურჯ ტალდებად
გადმოდის ცა,

შუადლის მზევ, ამ ხილვით წვას ვითმენ იდით,
ჩემი სულის მწვერვალების დაპყრობისას
სწყდებით და ჩემი გველი სულში ინოქმებოდი.
თურმე ყველა თბილი მზერაც იყო მაღლი,
თუმც არ იყო დრო ძეველ ფიქრთა გამხელისა,
ჩემნ რაღაცით იმ ერთი დღის ფიქრებს
ვგავდით,
სადაც ერთი გვეტონდა ცა და დამღლელი გზა.
ხოლო ახლა, როცა ჩემ ჩემნ ჩემნს ვებრძვით
სევდას
და არც ვიცით, სამწუხაროდ, ვენდოთ ვისლა,
ღმერთს ახსოებარ შენ, ვისაც ის გახსენდება,
ვინც რატომლაც დღეს სუყველამ დაივიწყა...

* * *

ერთ ზღაპარში ერთ ბალს ერთის გამოჩენა
სწყურის კვლავ,
ვიღაც ეძებს ცისარტყელას – დაღლილ
მგოსნის სულის კვალს.
ვინ იცის, კვლავ მერამდენედ ზღაპრის
ბილიკს გაიღლის
დილა, მშვიდი და სპეტაკი, დედის
ლოცვისნაირი.
გენატრება, სინამდვილე ზღაპრით იყოს
შემკული,
რადგან ზღაპრად სიკეთეა ბოლოს
გამარჯვებული.

ერთ ზღაპარში ობოლსა ჰყავს ავი
დედინაცვალი,
ავმა ქალმა სამწყესურში გაგზავნა ის,
საწყალი,
საგზლად ერთი პური მისცა, თანაც
მკაცრად უთხრა ეს:
„ჭამე, მათაც უწილადე, ვინც კი გზაზე
შემოგხვდეს,
ოღონდ სახლში მთელი უნდა მოიტანო ეგ
პური, თორემ ვაი შენი ბრალი, დაისჯები
ბედკრული!“
ჩემ კი დედა ცხოვრებაშიც, ზღაპარშიც
გვერდის ხატადა...
დედაჩემი სადმე წასულს საგზლად ლოცვას
მატანდა:
„შვილო, გულით გევლოს, სხვებსაც
უწილადე ეგ გული,
შინაც მთელი მოიტანე გული, ტრფობით
შეძრული!“
გული გქონდეს, შენი მშობლის ღირს
შვილად რომ ივარგო,
ხომ რაც მეტად ვიხარჯებით, მეტ განძს
ვიძებით იმავ დროს.
მხოლოდ გულით იზომება სიმდაბლეც და
დიდებაც,
ზღაპარსაც და ცხოვრებასაც გულის სითბო
სჭირდება.

* * *

მთაწინდა... ცისკენ ნელა ვიწევდით,
თბილისი ჩანდა ხელისგულივით.
მასინ ზედმეტი იყო სიტყვები,
იყო ჟინი და სივრცის წყვირვილი.
ენთო მუსიკა, როგორც იცნება,
სადღაც მტრედებმაც გადაიქროლეს,
მეოცნებთა გასაოცებლად
კვლავ ისლერი ღირება და სიმრე.
მერე ქუჩებში ჩემ და თბილისი
როცა ერთმანეთს ტბილად ვუმზერდით,
იქ, მთაწინდაზე, კიდევ, ვინ იცის,
წმინდა ხატს ვისთვის წერდნენ მუზები!

ჩემო ძურავ

ბოლოს როდის გავულიმეთ ერთმანეთს,
ალარ მახსოვება, ალარ მახსოვება, ღმერთიმანი,
კვლავ მწყურია საუბარი გულია,
მოლიდიდის წულებს ცრემლი უღვრიათ.
ნუთუ მხოლოდ მოგონებად დარჩება
შეხვედრების სითბო და აღტაცება!
ერთ ცხადში მყოფთ ერთი სიზმრის მზე
გვათბობს,


ერთმანეთს ვერ დაგშორდებით ვერასდროს.
დარდი როგორ შემოგჩივლო მე ახლა,
თვითონ დარდი, ჩემი დარდიც შენ ხარ,
მაგრამ ქარი შავნელ ღრუბლებს წალეკავს,
აქ ღიმილი დაბრუნდება მალე კვლავ.
ჩემო ქუჩავ, ხომ გადავრჩით მრავალჯერ,
ახლაც უნდა გაუძლოთ და ვარჩეთ
ახლაც და დაბრუნდებით მრავალჯერ.
ჩემი სამაღლებრივი მაღლავ კვლავ
გვალი და დაბრუნდება მაგრამ ნანატრი შორი
გზებიანი იმავ დაბრუნდება მაგრამ ნალი წესით
ადამიანი იზომება მხოლოდ ზეციდან.

საიდან...

ვიცით, ეს, ალბათ, არავისთვის არის სიახლე,
რომ ზღვის დონიდან იზომება ყველა სიმაღლე,
მაგრამ საიდან იზომება ადამიანი,
ზღვის და ხმელეთის მფლობელი იგი,
მძღვრი, ტკივიანი?
იქნება თვითონ სულის სიმაღლით ვზომავთ
ჩემი სამაღლებრივი მაღლავ კვლავ
მერე რა, თუკი ჩემს სიმაღლეს ვიღაც კვლავ
იტანს
და მაინც ერთი უტყუარი ნაღდი წესითა
ადამიანი იზომება მხოლოდ ზეციდან.

გვ და ეს შემოდგომა

განმ



თითქმის შეუძლებლად შეიძლება მოგვეჩვენოს.

ზაალ ნემსაძემ ეს შეძლო.

„ზეციდან შობილნის“ წარსმოსახვით-იდეური ჩარჩო რელიგიურია, ხოლო ამ ესეის მოქმედი პირნი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უაღრესად წარმატებული, კონკრეტული ადამიანები ბრძანდებიან.

ავტორმა კარგად იცის ბიბლია. ამ წიგნთა წიგნის (განსაკუთრებით მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარების) ცალკეული პასაურების ოსტატ-

„არასოდეს წამოგცდეს შენს ევნით იცავდნენ, უფრო იმიტოთავზე, პირველი ვარო, რა- მაც, რომ ავტორს უნდოდა ისინი მეთუ მოვა დრო, როცა პირველ- ნი იქნებიან უკანასკნელნი და უკანასკნელნი - პირველნი“.

წარმოიდგინეთ რა გულმოდგინება სჭირდებოდა ავტორს ბიბლიაში ეპოვა სწორედ ის ადგილები, წიგნის გმირების ხასიათს და ცხოვრების წესს რომ შეესაბამ-შეეხამებოდა.

ვკითხულობდი და თვალზე ზოგჯერ ცრემლიც კი მადგებოდა ზაალ ნემსაძის კეთილშობილური სურვილის გამო, უმაღლესი ზეციური კრიტერი-

უნით იცავდნენ, უფრო იმიტოთავზე, პირველი ვარო, რა- მაც, რომ ავტორს უნდოდა ისინი სწორედ ასეთები ყოფილიყვნენ. და შეიძლეს, როცა უამიანობამ ტელევიზორს და წიგნს უსაშველოდ მიგვაჯაჭვა და ხშირად ვემობილურხმიანებით ერთმანეთს „ნასაკითხი ხომ არაფერი გაქვს“, მე სიამოვნებით გეპატიურებით ზაალ ნემსაძის ახ-

ალი წიგნის „ზეციდან შობილნის“ წასაკითხად.

რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

გეცატიური

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის ზაალ ნემსაძის ყოველი ახალი წიგნი ლიტერატურული და ოსტატურული ნაბიჯია და, რაც მთავარია, თემატურ-სტილური ორიგინალობით გამოირჩევა.

პირველი წიგნი რეალურობისა და მისტიკურობის ურთიერთშერწყმის ნიადაგზე შექმნილი კინოსცენარებისგან შედგებოდა და დიახაც, ახალი სიტყვა გახლდათ ქართული კინოხელოვნების სარბილზე.

ნიჭიერი მწერლის ეს მეორე წიგნი, რომელსაც „ზეციდან შობილნი“ ჰქვია, პირობითად რელიგიურ-დოკუმენტურ უანრს წარმოადგენს და წიგნის ავტორი ამ უანრის ფუძემდებლადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

ეს საპატიო ტიტული ზაალ ნემსაძისთვის ჰქანარად არ მიმინიჭებია, რაშიც ახლავე დაგარწმუნებთ.

მოგეხსენებათ, რელიგიურობა და დოკუმენტურობა ერთმანეთთან საკმაოდ დაშორებული ტერმინებია და მათი ერთ ლიტერატურულ ხერხად განივთება.

ური მომარჯვებით განიხილავს იგი წიგნის გმირების ცხოვრებას და წიგნის მაღალი გადმოსახედიდან უსურათხატებს მკითხველს, რამდენად მისდევენ მწერლისაგან რჩეულებად დასახელებული ქრისტეს გზას და რაოდენი გულმოდგინებით ასრულებენ კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველი, წამებული იესოს უკვდავ შეგონებებს:

„ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“.

„ვინც არრა სცოდა, პირველი მან ესროლოს ქვაის“.

„რომელი აღმაღლდეს მახვილითა, მახვილითვე წარხდეს იგი“.


„არ გაიხადო კერპად არცა კაცი, არცა ქალი და არცა ქონება“.

„სხვის თვალში ბენვს ნუ დაეძებ, როცა შენს თვალში დირეა“.

„შემწედ ექმენი მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“.

„არ დაპირდე და თუ დაპირდები, შეუსრულე კიდეც“.

არ ენდო დამსმენთ და მსტოვართ, ხოლო ყოველივე, რასაც მსტოვარნი გაცნობებენ, შეამოწმე“.



უმებით განეჭვრიტა მისთა თანამედროვეთა რუდუნება, იმიტომ კი არა, რომ მისი გმირები უფლის ყველა მცნებას ზედმიწ-

რელიგიურ-დოკუმენტური ესეისათვის „ზეციდან შობილნი“ ზაალ ნემსაძეს მიენიჭა ნიკოლაძის სახელობის პრემია.

„ზეციდან შოგილი“ და მისი ავტორი

თავის მეორე წიგნს ზაალ ნემსაძემ წინ წარუმდღვარა საქართველოს კათალიკოსის მრავლის მეტყველი სიტყვები: „შეიძლება იყო კარგი ექიმი ან ინჟინერი, მინის მაშვრალი, მომსახურე პერსონალი ან მეცნიერების რომელიმე დარგში გქონდეს წარმატება, იყო ხელოვნების ამა თუ იმ სფეროს ცნობილი წარმომადგენელი, სპორტსმენი, იურისტი, მასნავლებელი, სტუდენტი, თუნდაც სასულიერო პირი, მაგრამ, თუ შენს საქმიანობასთან ერთად არა გაქვს თვალი უფლისად მხედველი და არ ზრუნავ შინაგანი სულიერი სამყაროს გაუმჯობესებაზე, იქნები ცარიელი ჭურჭელი, ღვთის სისავსის მიღმა მყოფელი“.

ამ პათოსით არის განმსჭვალული ეგ 168-გვერდიანი წიგნი, რასაც დასტურყოფს გამოჩენილი საერო მოლვანე რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე, როცა ამ კრებულის წინათქმაში მიუთითებს:

„ნიჭიერი მწერლის ეს მეორე წიგნი ... პირობითად რელიგიურ-დოკუმენტურ უანრ წარმოადგენს და წიგნის აკტორი ამ უანრის ფუძემდებლადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ... მოგეხსენებათ, რელიგიურობა და დოკუმენტურობა ერთმანეთთან საკმაოდ დაშორებული ტერმინებია და მათი ერთ ლიტერატურულ ხერხად განივთება თითქმის შეუძლებლადაც შეიძლება მოგვეჩენის, ოლონდ ავტორი ეს შეძლო. „ზეციდან შობილნის“ წარმოსახვით - იდეური ჩარჩო რელიგიურია, ხოლო ამ ესეების მოქმედი პირი ჩვენს საზო-

გადოებრივ ცხოვრებაში უაღრესად წარმატებული ადამიანები ბრძანდებიან“. და ვინ არან ეს კონკრეტული, ამქვეყნიური პირი, რომელთა ღვთაებრივ ხელდასხმულობაზეც მიუთითებს ავტორი?

როგორც ქართველთა 90 პროცენტს, ისე, ჩვენს ავტორსაც ასეთ პიროვნებად წარმოუდგენია ბატონი ბიძინა ივანიშვილი. მას ჩვენი ავტორი ქვეყნის გადამრჩენელად შერაცხავს. ის ღვთით მოვლენილი ზეციური ნების აღსრულების იარაღად მიუჩენებია მწერალს: „დროა, აღსრულო ის, რისთვისაც მოგავლინა უფალმა და ამდენი წყალობა გიბობა; დროა, აღაგმო ის თარეში, რაც ქვეყანაშია... მოყვასისათვის თავის განწირვა გმართებს! – თითქოსდა ასე ჩაგონა და უბრძანა ზეციერმა ამქვეყნიურ პიროვნებას და ისიც მალე იქცა ქვეყნის ლიდერადო, - ამბობს მწერალი.

თითქოს წინასწარმეტყველურად აფრთხილებს ლიდერს ზენარი: „ხალხი ყოველთვის შენს სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს, თუმცა ბევრჯერ დაგტუქავს და შემოგიბლვერს, ოღონდ ხალხი ბრძენია და იცის ღვიძლის გარჩევა მოგზავნილისაგან“ (11).

მეორე ერისკაცი, რომლის შესახებაც წერს ჩვენი ავტორი, გახლავთ ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი. გახსენებულია მისი მოღვაწეობის საუკეთესო ფაქტები. ყველა ეგ ფაქტი კი „დასაბუთებულია“ ბიბლიის სათანადო ეპიზოდებით, გამოთქმებით, ფრაზებით...

აქვე საჭიროა, ჩავრთოთ წიგნში ჩაბეჭდილი: „ჭაბუა ამირევიბი ამბობდა: „საქართველოს ცეკას მდივნებიდან ჯუმბერ პატიაშვილი ყველაზე ბრძენი და ვაჟკაცი იყო“.

კითხვაზე, როგორ უნდა გადარჩენილიყო საქართველო სააკაშვილის რეჟიმისაგან, ჭაბუამ დაფაზე დაწერა: ბიძინა ივანიშვილი!“ (59).

ღვთით შობილთა შორისაა რომან რურუა. ავტორი ბეჭდუდებელ ფალავანს ასე აღაპარაკებს: „უფლის ხელი თუ არ ურვევი, ჭიდაობაში წარმატებებს ვერ მიაღწევ“ (73).

და ამას მოსდევს დამარწმუნებელი ფაქტი: „ტოლედოს მსოფლიო ჩემპიონატზე 6 მეტოქე დაგამარცხე ქულათა საერთო ანგარიშით 82:0 და ისე ავედი კვარცხლებების უმაღლეს საფეხურზე“, - ამას თითქოს ღვთის პირით ლაპარაკობდეს თავად მორკინალი.

ასევე ღრმა რელიგიურ კონტექსტშია ჩასმული მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი, მკურნალი გიორგი ნადარეიშვილი, უბერო მოქანდაკე და მხატვარი ზურაბ ნერეთელი, ეროვნული მოლვანი, გაერთიანება „ერთსულოვნების“ დამფუძნებელი მიხეილ ანდლულაძე, ქართველობისა და ქრისტიანობის ერთგული მცველი რაინდი როლანდ კილაძე, მეცნიერი, უებრო ნოველისტი, რომან „ქრისტეს“ ავტორი, „ტკბილმოუბარი“, „ოთხმოცი წლის ახალგაზრდა“, „კამერის რქასავით მაგარი“ ერისკაცი რევაზ მიშველაძე.

ამ გაგანია კორონავირუსის პირბებში დანერიდო წიგნი მთავრდება საგულისხმიერო დევიზით: „ემსახურეთ უფალს და დაუკერძო ექიმებს!“

მე კი, ჩემის მხრივ, დავსძნდი:

„ემსახურეთ უფალს და წაიკითხეთ ეგ წიგნი!“

მირიან როხაძე

ზაალ ნემსაძე

კათილი სამარიტელი

„იესომ კი პასუხად უთხრა: „ვინმე კაცი მიდიოდა იერუსალიმიდან იერიხოს, დაქსნენ ყაჩალები, რომლებმაც ტანსაცმელი გახადეს, დაჭრეს და წავიდნენ. ის კი ცოცხალ-მკვდარი მიატოვეს.“

შემთხვევით ერთმა მდვდელმა ჩაიარა იმ გზაზე, დაინახა იგი და გვერდი აუქცია.

ასევე ლევიანმა ჩაიარა იმ ადგილას, დაინახა და გვერდი აუქცია.

მერე ვიღაც სამარიტელმა გამოიარა, დაინახა და შეიცოდა.

მივიდა მასთან, ჭრილობები შეუხვია, ზეთი და ღვიძლი დაასხა, შესვა თავის პირუტყვზე, მიიყვანა სასტუმროში და იზრუნა მასზე.

მეორე დღეს ამოილო ორი დინარი, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: იზრუნებ მასზე და თუ ზედმეტი ხარჯი მოგვია, რომ დავპირუნდებ, მოგცემო.

რას ფიქრობ, იმ სამიდან რომელი უფრო იყო ყაჩალების ხელში ჩავარდნილის მოყვასი?“

მან უპასუხა: „რომელმაც წყალობა უყო მას“. მაშინ იესომ უთხრა: „წადი და შენც ასევე მოიქცია“. (ლუკა 10. 30-37).

კოვიდმა ისე მაჯანჯლარა, რომ არა ექიმ მაია უამუტაშვილის, ექთანა და სანიტართა თავდაუზოგავი შრომა, თქვენს ჭირს წავიდებდი. ვერაგმა მაიც დამატყო ბრჭყალები და გამანამა სუნთქვის გაძნელებამ, ჰაერის უკამისობამ. ის მედიკამენტები, სიძვირ-

ითა და სპეციალურობით „განთქმულ“ ჩვენს აფთიაქებში რომ ყრას, ახლოსაც ვერ მიუდგა ჩემს გასაჭიროს. ერთადერთი აეროზომა, რომელიც შვებას მომცემდა, ჩვენში ვერსად მოვიძიო. კოვიდს გადარჩენილს ასთმა მახრჩობდა. რამდენიმე ნაცნობს და ახლობელს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, დახმარება ვთხოვე. არავინ შემომხმაურა. ეტყობა ვერ იშმვევს და თქმა მოერიდათ. დაცრიჩი ცოდვილი ადამიანის ყველაზე უდალატო მეგობრის და დამცველის, უფლის იმედად. მისი წყალი არ მოგვეკლოდეს.

ერთ დღეს ჩემმა უახლოესმა მეგობარმა დამირეკა, მომიკითხა და მითხრა, ჩემთან სტუმრად არის თურქეთში მოღვაწეობის მოძინება ქართველის ბატონი, ბრძენიშვილი, პიროვნების, ან გარდაცვლილი ჯეირან კიკრიაშვილის ვაჟი, კობა და იქნებ ვოკაპის საშუალებით შენი ფილმები გამოვისუგზავნობა.

-ახლავე გადმოვგზავნი. თან ერთი სათხოვარიც მაქვას თქვენს სტუმრათან... და მოგახსენებ ჩემი გასაჭირო - წამალი, რომელიც გადაუდებლად მესაჭიროება, საქართველოში გაყიდვების გადატანებების გარეშე, კობა კიკრიაშვილი იმ კეთილი სამარიტელის თანამდეროვე ქართული გამოვლინებაა, ვიზეც უფალი ჩვენი და ღმერთი ჩვენი - ისო ქრისტე ბრძანებდა და თავის იგავში.

-და მოგახსენებ ჩემი გასაჭირო - წამალი, რომელიც გადაუდებლად მესაჭიროება, საქართველოში გაყიდვების კაცა? - მეკითხებოდა ხოლმე და აუქციონებით. - თუ ძმა ხარ ნუ მიქაჩავ თვალებს გადაყინებული ნაყაჩის მეტებით გართმება, ვიზეც უფალი ჩვენი და ღმერთი ჩვენი - ისო ქრისტე ბრძანებდა და თავის იგავში. მშრომელი, აღალი, ტრადიციების მიმყოლი, ლიტერატურა გამორჩეულად უყვარდა. გიუდებოდა ეგნატე ნინოშვილი და ნოდარ დუმბაძეზე.

-არც გურული ვარ. არც განათლება მაკელია საამისოდ და არც წადგამობა. ბევრი გინახავს ჩემისთანა მიდგომ-მოდგომის კაცა? - მეკითხებოდა ხოლმე და აუქციონებით.

-თუ ძმა ხარ ნუ მიქაჩავ თვალებს გადაყინებული ნაყაჩის მეტებით. იყავი თუ გინდა, გართმები გამოისავ გადატანებებისას? - ვკითხავდი და იცინდა. მშრომელი, აღალი, ტრადიციების გამორჩეულად უყვარდა. გიუდებოდა ეგნატე ნინოშვილი და ნოდარ დუმბაძეზე.

-არც თქვენ ხართ იმერლები, მთლად დაკარგული ხალხი, - გადმომხედვავდა და ჩაიგინებდა, - აკაკი გყავთ, დავითი, ჩემო ბატონი, კლდიაში მიშვილი... და ესესაც გყავთ ერთი მაგარი

მაია მირიანაშვილი

პოეტის ხატი

რა დავიჯერო ისეთი მგოსნის
ლექსებს წერდეს და ტკბილად უბრობდეს
გულ-მუცელი კი შურის და ბოლმის
ნეროდეს ცეცხლით და მოყვასს მტრობდეს,

თეთრ კბილს აჩენდეს სხვათ დასანახად,
ცითომ ლალობდეს, მხიარულობდეს,
მუნ შავნელ აზრებს აშანდა კებდეს
შიგან დემონთა დასებს მეფობდეს,

ან რა ვიწამო ისეთი ლექსის
ის სურნელი არ ასდიოდეს?
დედათა ცრემლი აყვავებული
პოეტის კალამს არ გასდიოდეს?

თვალი ბრმა ჰქონდეს, ყურნი- დახულნი
მავანს სციოდეს, ზოგსაც შიოდეს,
ისე იჯდეს და სტრიქონს რითმავდეს
ერის წყლულები არა სტკიოდეს...

ასხამდეს ხოტბას მასზე ძლიერებს
-ზურგსუან ჩუმად მომტერეობდეს,
საფლავის მთხრელი კარგის მექნელებზე
სიტყვა-სამსალით ძალმომრეობდეს...

სული პოეტის მზეს უნდა ჰგავდეს!
ხან ვარსკვლავობდეს, ხან მთვარეობდეს,
გულით უყვარდეს ერი, ქვეყანა,
აფრქვევდეს სხივებს, ნათელდღეობდეს!

ლექსიდან ლექსში, ტაქტა ძარღვში
ქრისტეს სიხლივით მიმოდიოდეს,
ბადებდეს სიტყვით იმგვარ სიცოცხლეს
საუკუნებს გადასდიოდეს!

ხან მარტვილობდეს, მოწამეობდეს,
ან მეომრობდეს, ანდა მოძღვრობდეს,
უფრთო კალამს რომ არ იყარებდეს,
ნატრობდეს მუზას, ისიც სწვეოდეს...

მხატვრადაც იშვას ფრესკის ფერებში,
მფლობელად ლაუგარდ- ლაზურიტების,
რვალის გუმბათით ხურავდეს ტაძარს
მლოცველი ხელით ხუროთმოძღვრების!

მოჰქენდეს აზრად ვით მთის მდინარე!
მართლად ნაწერში ზღვად მოდიოდეს!
იყოს ამ სოფლის მემატიანეც,
უამთა აღმწერლად ერს ადგებოდეს!

მინდა ვიხილო პარნასის მკვიდრი
შემკული ასე ყოვლით, ყოველგან,
არ დავაყვედრი, ალალი იყოს,
თუნდაც მეორე შოთა დაერქვას!

ლექსებს ხოტბებად მე არ
ვარიგებ
ვით პოეტები აბაზიანი
და ასპარეზად მუდამ ასეთებს
აქვთ შაპის კარი აბასიანის,

ჩემთვის ისევაც, როგორც
ქველ დროში
მორბის არაგვი, არაგვიანი
და როგორც უწინ,
ახლაც ვიბრძოლებ
მუდამ როგორდეს
დარი მზიანი!

რაღაც კანონით ან სამართალით
მტერსაც თუ „უყვარს“ ადამიანი,
თავისიანი, ხან სხვისიანი,
თავით უტვინო, ანდა ჭკვიანი,

იმას არ ნიშნავს, ჩემი
ქვეყანა
მან რომ იყიდოს აბაზიანით
ანდა ეს ხალხი განაწამები
დატოვოს სახტად,
თვალცრემლიანი,

დაიმონოს და გააპარტახოს-
ძელები ყიოდეს წინაპრისანი,
ასეთი ჯავრი როგორ შევჭამოთ?
ალარ გვყას ლეავი
ალგეთისანი?

თუ მოვინდომებთ,
დავდგებით ერთად,
არ გვეყოლება ღალატიანი,
ერი, საქმითაც ნამუსიანი,
კვლავ გაიმარჯვებას
დროშით ჯვრიანით!

თავისუფლებაც არ დაახანებს,
სანატრელი და არავიანი,
მოვა გრიალით, კარს შემოამტვრევს,
ქარიშხალივით ნებაფრთიანი!

დროა გათენდეს! დროა გათენდეს!
ალდგეს უფლება სამართლიანი!
გამოიხედოს თვალში ყოველმა,
დამარცხდეს მტერი ბოროტზიანი!

არვის შიოდეს! არვის
სციოდეს
და არა ჰქონდეს ვალი
ხნიანი,
დროა შენების, დროა
მშვენების,
ნარსულს წაედოს დღე
ავდრიანი!

თბილის

მე რაღა გითხრა, შენ ბრნყინვალე ჩემო
ქალაქ?

განა რამდენი მოუძღვნიათ

ოდა და ჰიმნი?

და როგორ გაადრო ძველი დროის ოქროს
სატახტოს

ან ჩემი ლექსი, ანდა სიტყვა

ნაწერ- ნაფიქრი?

მე ვით ვუმდერო ნარიყალას ციხის
ქინგურებს?

დუდუნა მტკვარს ან სირაჯხანის ბებერ
აღმართებს?

ნარსულში ნამლერ საათნავას ხატოვან
ლექსით

ლალ-ბადახშ ნაქებს, შემორკალულ

მთათა ქარაგმებს?

...და მაინც გეტყვი, რომ სუნთქვა ხარ
ჩემიც და სხვისიც!

უშენოდ თავი არ მიცვნია განგმირულს
ისრით!

ამ სიყვარულის, ამ სიტურფის არახულ
ხიბლით

წერად დაჭრილს და მარად გამთბარს

შენი მწველი მზით!

გული მოუწეს ყველას შენკენ, შინაურს,
უცხოს...

იზიდავ მილეთს ჯადოსნური ანდამატივით,
მშობლის სიყვარულს ვით ვერ გაცვლის

ძუშუთა პირმში

ისე სულდგმულობს ქალაქს მყოფი

დედათბილისით!

რამდენმაც უნდა გაიაროს კვლავ საუკუნებ,
იდგები ისევ სამებით და შენი მთაწინდით

ღვთიურ კარიბჭეს დამშვენებს მაღალი

მადლით

თვით უფლის ხელით დაქარგული სიტყვა

„, თბილისი!

თემურ ჭახნაკია

შეხვედრა ლოდოშვილი

კაფეში ჩენენ გსხედვართ მარტონი,
ვუკვეთავ ჩაის და კოქტეილს,
- თუ გნებავს, დავლიოთ მარტინი,
- იცი, რომ უშენოდ მოვკვდები....

მივრთვით ჩვენ პიტნის ჩაილა,
სველდება მინა და კრამიტი...

იელვა, ცა თითქოს ჩაიხა,
შენ გიყვარს ასეთი ამინდი.

ნინ გვიდგას ლარნაკით ტიტები,
ვჩურჩულებ, - "სულ მინდა მეტროდე",

თვალებით სიყვარულს მპირდები,
მზერა უშერდება მეტრდოტელს.

დასრულდა ხანგრძლივი ლოდინი,
შევხვდით ლცდარვაში სექტემბრის,

დამხვდა წვიმიანი ლონდონი
და შენი ნაზი ხმის ეგ ტემბრი...

სიცილით გავდივართ კაფედან,
სველდება კაბა და პორტმანე,
ცამ ჩვენი გალუმპვა გაბედა...

ჩანს ტემზა, ტალღების ტორქმანი.

შეგართო ჩიტების უივუიგმა,
აღმოვჩნდით ლრუბლების ალყაში,
შენ მაინც როგორი გიუს ხარ...

წვიმაში ქოლგას რომ აღარ შლი...
იდარა, ქარს თქორი მოჰქონდა

ავყურებთ ცასა და ცათამბჯენს
გულში იმას ვფიქრობ, ოლონდაც,
ახლა გაციებას გადავრჩეთ.

ნელ-ნელა მივდივართ სითბოსთან,
გზაზე ხეტიალმა დაგვქანცა,
რაღაც სხვა დაინწყო თითქოსდა
და მყისვე დასრულდა რაღაცა.

სოფლის მოგონება

ცას კვამლით მიება ბუხარი,
ტაბლა დგას და ირგვლივ ჯორკონი.

ნინკარში ლევავების ბურხალი.

სექვთან ფოტოასლი ჯორკონდას.

თხმელის მუგულებზე კეცები,
თუშურ ქუდებივით მიყრილან,

ხტიან ცეცხლის ურა კვიცები,
დილამ მამალივით იყიდლა.

ბებოს მოსნოლია ნაღველი,

კეცი გაუგარდა კინალამ...

გულში ტკივილების ნაღვერდალს

დიდი მოთმინებით ინახავს.

სერზე ჭიხვინებენ ჭაკები.

აბოლებს ყალიონს ბაბუა.

მე არყით ავაგვე ჭიქები...

და ორი ყლუპი კი მაბრუებს.

სუყველამ მივირთვით საუზმე,

დრო მიუახლოვდა რვა საათს.

თითქოს ახლაც ვზივარ და ვუსმენ

ბუხართან ცეცხლის თბილ მასლაათს.

მახსოვროს მთა, სოფელი, სიცივე,

კედელზე ბაბუის კიტელი,

უნიდენდესი შუქით ციმციმებს,

ელგუჯა მგელაძე

სოფელ ზომლეთში იყო განსაკუთრებულად გამორჩეული ერთი დასასვენებელი ადგილი, რომელიც სამ საუკუნეზე მეტი წელის წილის ქვეშ მდებარეობდა. გარდა იმისა, რომ ხის ძირში ცივი, ან-კარა წყარო მორაკრაკებდა, მას მდებარეობაც ისეთი ჰქონდა, რომ აյ სოფლის უბნების გზაგასაყარი იყო და განსაკუთრებით ძევრი ხალხი მიმოდიოდა.

ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, სიცოცხლით სავსე ადგილი იყო!

აქაურები ამ ადგილს „იაგორის საცივს“ უწოდებდნენ. ეს სახელწოდება შემთხვევითი არ ყოფილა. წყარო იქაური გლეხის იაგორ მგელაძის საკარმიდამო ნაკვეთში მდებარეობდა. არავინ იცოდა, ხსენებული ბუმბერაზი წიფელი უფრო დიდი ხის იყო თუ წყარო, რომელსაც ენაკვიმატი გურულები რატომ-დაც „საცივს“ ეძახდნენ. ერთი კია, რომ ამაზე ლამაზ, იდუმალ ადგილს ძნელად იპოვიდა კაცი.

წყაროს წყალი, აშკარად სპეციალურად გამოჭრილ, დაახლოებით ერთ ტონამდე ტევადობის თეთრ, ქათქათა წყალგაუმტარ კლდის ფიქალში გროვდებოდა და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მარტო ბუნების დამსახურება კი არა, ადამიანის ხელის დახმარებით, ჭკვიანურად იყო მოფიქრებული და შესრულებული. აუზს, ზედმეტი წყლის გასატარებელიც ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ მასში ერთ ტონამდე წყალი სისტემატიურად იდგა. წიფლის ხის მიწის ზედაპირზე ამზიდული ფესვებიც წყაროს თავზე ისე მოხერხებულად იყო განლაგებული, რომ მორაკრაკე წყლის მსურველს შეძლო ერთი მეტრის სიღრმეში შეეყიდა და სპეციალური ჭურჭელი პირდაპირ წიფლის ფესვების ბუნებრივ ტერასაზე შეედგა წყლისთვის.

„იაგორის საცივი“ უშუალოდ სამანქანო გზის პირას მდებარეობდა და სოფლის მსხვილფეხა თუ წვრილფეხა პირუტყვისაგან დასაცავად აკაციის მეტრნახევრიანი სიმაღლის მესერით იყო შემოღობილი. ნებისმიერმსურველს ღობის დაბალ „ალაგეზე“ გადავლით შეეძლო ცივი წყლის დაგემოვნება. წყლის ჭურჭლად, წვერნათლილ მესერზე ჩამოკიდებულ კონსერვის თავმოჭრილ ქილებს იყენებდნენ.

უზარმაზარი წიფლის გარშემოწერილობა სულ ცოტა ათხო მეტრი მაინც იქნებოდა. იგი მარტოდმარტო იდგა იაგორ მგელაძის ფერდობიანი ეზოს ყველაზე დაბალ ადგილზე. ძნელია სიტყვებით იმის გადმოცემა თუ როგორი იყო ეს ხე. მისი ტოტები ერთნაირად თანაბრად იყო გაშლილი ყველა მიმართულებით და უზარმაზარ ქოლგას მოგაონებდათ. იგი მთელ არემარეს ავსებდა. ასეთი მოცულობის ხე იშვიათი სანახავი იყო. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთი ხე, ავსებდა მიდამოს და მთელი ტყის ასოციაციას ქმნიდა. უქარმაში მისი სილამაზის აღწერა უბრალოდ შეუძლებელი იყო. უზარმაზარი ტოტებიც კი, გარინდული ყველენ, მაგრამ ოდნავი სინ წამოუბერავდა თუ არა, უცებ იცვლებოდა წიფელი.

ერთად აჩურჩულდებოდნენ ტოტები, ერთმანეთს აყვებოდნენ ფოთლები. ამდენი ფოთლის შრიალი ერთ სიმიზონიად იქცეოდა და მთელ არემარეს ატებობდა.

როცა ფერდობზე ნისლი ჩამონვებოდა და ირგვლივ აღარაფერი ჩანდა, წიფელი ერთს შეიძერტყავდა ძლიერ ტოტებს და ნისლიც უცებ გაიფანტებოდა.

წიფელმა იცოდა ყველა მიტოვებული ბუდის, ყველა ობოლი ფოთლის, ყველა იმედგაცრუებული ტოტის, ყველა ძირის ჩამოვარდნილი ბარტყის, ყველა ბნელი ფულუროსა და ყველა ფრთოსნის ამბავი.

მიუხედავად იმისა, რომ წიფელს მეხის რამდენჯერმე დაცემის კვალი აჩნდა და რამდენიმე ფულუროც ჰქონდა, მაინც ისეთი ბუნებრაზი და მდიდრული იერი ჰქონდა, რომ მის ქვეშ

ვინ იცის რამდენი გასაჭირის, თუ ლხინის მომსწრე ყოფილა ეს წყარო და წიფელი! რამდენი საიდუმლო გაუგიათ და შეუნახავთ. რამდენ გამვლელ-გამომვლელს მოუკლავს წყურვილი, მოუმხებია გული და შინ დასვენებული და დარდისგან განტვირთული წასულა. ალბათ რა მტკიცნეული იქნებოდა მათვის იმ დაუძვევარი ახალგაზრდების საციელი, რომელსაც ხის ტანზე ბასრი საგნით ამოტვიფრული არაფრის მთემელი ასოები – „მ.მ“, 1740 და კიდევ სხვა წარწერა, ანუ ე.წ. „დამდა“ რომ დაუტოვეს საუკუნოდ. ლამით მარტო დარჩენილი ხე ფოთლების შრიალით, წყარო კი რაკრაკით უზიარებდნენ ერთმანეთს დარდსა თუ სიხარულს!

მაშინ, როცა ფრინველთა გადაფრე-

გადატეხა. მძინარე ხეს საოცარი კვნესა აღმოხდა. ნელ-ნელა დაეშვა ძირს. მტკრევეს ხმა, ხრჭიალი ირგვლივ საშინელ აურას ჰქმიდიდა.

სიკვდილი არ შეიძლება ლამაზი იყოს, მაგრამ წიფელი ნამდვილად ლამაზიად მოკვდა. მოწყვეტით კი არ დაეხეთქა მიწას, არამედ მშვიდად და ნელა დაეცა.

გვინახავსადამიანის ხელით მოჭრილი მორადქცეული ხები, მაგრამ წიფელი გადატეხვის შემდეგ რაღაც უცანურ სანახამბად ქცეულიყო, რომელსაც ვერც მორს უწოდებდი და ვერც კუნძს.

სხვა ხები მისგან საკმაოდ მოშორებით იდგნენ, მაგრამ წიფელი ეამაყებოდათ და თვითონაც ნატრობდნენ მასავით დიდებული გამხდარიყვნენ. როცა კვინესა გაიგონეს, გლოვის ზარი ჩამოკრეს. იგდნენ ხები გარინდული და სულგანბული. შემდეგ თითქოს ძლივს ამისუნთქეს და წყაროს მიუსამიდირეს.

ამ ორიოდე წლის წინ კვლავ ვესტუმრე ჩემს მშობლიურ სოფელ ზომლეთს.

გვიანი შემოდგომა იდგა და ხები უკვე გაძარცვულიყო. ამიტომ სოფლის შესასვლელიდანვე, რაღაც უსიარავნო გრძნობა დამეუფლა. მისი ტერიტორია რაღაც იერშეცვლილი მომერვენა. ნარ-მო-იდგინეთ ჩემი მწეხარება და იმედგაცრუება, როცა სულისშემდვრელი სურათი დამხვდა. წინა წლის დიდ-თოვლობას, ულამაზესი ბებერი წიფელი ზედ ძირში გადაეტეხა!

გაოგნებული ვუცექრდი დაცარი-ელებულ არემარეს. მოსახლეობას წიფელის ის ნაწილი, რომლითაც სავალი გზა იყო ჩახერგილი, შეშად დაუმუშავებია, ხოლო მისი ვებერთელა ტანის ნაწილი, რომელიც დელეში ჩავარდნილა, დაუბრუნდებოდა.

ცივი წყაროც ძველებურად მოჩეხებდა და მიუხედავად მისი სახელისა, არასდროს იყინებოდა, რაკრაკით აცოცხლებდა მიძინებულ არემარეს და მოუთმენლად ელოდა წიფლის გამოღვიძებით ერთმანეთს იმ იმედით, რომ წიფელი გამოღვიძების შემდეგ, კვლავ ცხოვრების ჩვეულებრივ რეზიმს დაუბრუნდებოდა.

ცივი წყაროც ძველებურად მოჩეხებდა და მიუხედავად მისი სახელისა, არასდროს იყინებოდა, რაკრაკით აცოცხლებდა მიძინებულ არემარეს და მოუთმენლად ელოდა წიფლის გამოღვიძების შემდეგით ერთმანეთს იმ იმედით, რომ წიფელი გამოღვიძების შემდეგ, კვლავ ცხოვრების ჩვეულებრივ რეზიმს დაუბრუნდებოდა.

მისი შემხედვარე ადამიანი უკვე ვეღარც კი წარმოიდგენდა, რა დიდებული სანახავი იქნებოდა წიუ-ფლით თავის დროზე.

ხებს ლაპარაკი ესმითო, მიაჩნდა ბუნების მესაიდუმლე დიდ მგოსანს ვაჟა-ფშაველას. იმასაც ხომ ამბობენ, „ხები ზეზეულად კვდებიან“. აი ჩვენი წიფელი კი სხვანაირი სიკვდილით მოკვდა.

უაღრესად დანაღვლიანებული, თვალცრემლიანი მივედი წიფელის გაზის სახაფულობაში ნიფელზე იმატა კოდალების სტუმრობამაც. ისინი დილიდან საღამომდე უკაუნებდნენ ხეს თავიანთ გრძელ ნისკარტს და წიფელიც, ჩანდა, არასდროს ღალატობდა მათ, სისტემატიურად უმასპინძლდებოდა ნაირ-ნაირი მსუქანი ჭიებითა და მატლებით.

უზარმაზარი ათწლეულების განმავლობაში წიფელზე იმატა კოდალების სტუმრობამაც. ისინი დილიდან საღამომდე უკაუნებდნენ ხეს თავიანთ გრძელ ნისკარტს და წიფელიც, ჩანდა, არასდროს ღალატობდა მათ, სისტემატიურად უმასპინძლდებოდა ნაირ-ნაირი მსუქანი ჭიებითა და მატლებით.

უზარმაზარი ათწლეულების განმავლობაში წიფელზე იმატა კოდალების სტუმრობამაც. ისინი დილიდან საღამომდე უკაუნებდნენ ხეს თავიანთ გრძელ ნისკარტს და წიფელიც, ჩანდა, არასდროს ღალატობდა მათ, სისტემატიურად უმასპინძლდებოდა ნაირ-ნაირი მსუქანი ჭიებითა და მატლებით.

უზარმაზარი ათწლეულების განმავლობაში წიფელზე იმატა კოდალების სტუმრობამაც. ისინი დილიდან საღამომდე უკაუნებდნენ ხეს თავიანთ გრძელ ნისკარტს და წიფელიც, ჩანდა, არასდროს ღალატობდა მათ, სისტემატიურად უმასპინძლდებოდა ნაირ-ნაირი მსუქანი ჭიებითა და მატლებით.

უზარმაზარი ათწლეულების განმავლობაში წიფელზე იმატა კოდალების სტუმრობამაც. ისინი დილიდან საღამომდე უკაუნებდნენ ხეს თავიანთ გრძელ ნისკარტს და წიფელიც, ჩანდა, არასდროს ღალატობდა მათ, სისტემატიურად უმასპინძლდებოდა ნაირ-ნაირი მსუქანი ჭიებითა და მატლებით.

</

კონკურსი

საქართველოს მთავრობის საქართველოს აკადემიური ეროვნული პიგმიონის მხატვა-არტისტით აცხადებს კონკურსს
„ლიტერატურის საინტერესო ფოტო-ისტორიებზე“

მურმან ლებანიძე წერდა: „მე სხვა ვარ, პირების ხელდრია, გვახსოვდეს ცოცხალიც და მკვდარიც“. სწორედ ხელო-განის ხელდრის - მახსოვრობას და წარსულისადმი, ცნობილი ადამიანებისადმი პატივისცემას ეძღვნება ეს კონკურსი. ამ ერთი კონკურსით რამდენიმე საქმის განხორციელებას ვფიქრობთ.

1. საინტერესო ფოტოებისა და ისტორიების შეკრებას და მომავალი თაობისათვის, როგორც ძვირფასი საგანძურის გადაცემას;
2. საინტერესო ისტორიის ავტორი მწერლების ფულადი პრემიებით წახალისებას;
3. ფოტო-ფონდის შექმნას;
4. ფოტო-ალბომის გამოცემას საინტერესო ისტორიებით;
5. წიგნის პრეზენტაციას და ფოტო-გამოფენას.

კონკურსის მონაწილეებმა მწერალთა კავშირის ელექტრონულ მისამართზე უნდა გამოაგზავნონ მოკლე ავტობი-ოგრაფია და არაუმეტეს 3 საკონკურსო ფოტო და ფოტო-ისტორია, სადაც აღნებდილი იქნება ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული პიროვნება და მასთან დაკავშირებული საინტერესო ამბავი.

მასალების მიღება დაიწყება 1 ოქტომბრიდან, კონკურსის ბოლო ვადაა 15 ნოემბერი.


3 გამარჯვებული (ფულადი პრემია 500 ლარი) დაჯილდოვდება 7 იანვარს, შობის დღეს.
გამოცემა ფოტო-ალბომი, რომელშიც შევა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა საინტერესო ფოტო-ისტორია.

ელ.მისამართი: writersunionofgeorgia@gmail.com
საკონტაქტო პირი: 555-56-44-54 მაია კვანტალიანი

კონკურსის
შედეგები

დიდგორით
დიდი გული
აქვს
ქართველი

ასტრონომი პოეზია



გრან-პრით და ოქროს მედლით და-
ჯილდოვდნენ:

ვახტანგ ღლონტი

ვანო ჩხითებე

ნლის რჩეული იუბილარების წოდება
მიენიჭათ და ოქროს მედლით დაჯილ-
დოვდნენ:

ემზარ კვიტაიშვილი

ფარნა რაინაული

თემურ ჩალაბაშვილი

მზია ხეთაგური

კონკურსზე წარმოდგენილი საუ-
კეთესო ნანარმოებებისათვის დავით
ალმაშენებლის სახელობის ოქროს მე-
დლები გადაეცათ:

ქეთი დოლიძეს

ზაალ ებანოძეს

დავით თედორაძეს

ჯემალ ინჯიას

თემურ ლანჩაგას

მაია მიქაიას

ედუარდ უგულაგას

ნიკა ქვრივიშვილს

ავთანდილ ყურაშვილს

თამარ შაიშმელაშვილს

მარინე ცხვედიაშვილს

დიპლომებითა და ფასიანი საჩუ-
ქრებით დაჯილდოვდნენ:

გიორგი ბალახაშვილი

ნომადი ბართაძე

შარლოტა კვანტალიანი

ნინო სიხარულიძე

ბადრი სულაძე

ბელა ქებურია

თემურ ჭახნაჯია

გოჩა ხარანაული

გართულებული ეპიდ-ვითარების
გამო, დაჯილდოების ცერემონიალი და
წიგნის პრეზენტაცია „დიდგორით დიდი



გული აქვს ქართველს“, გაიმართება ეპ-
იდ-სიტუაციის გაუმჯობესებისთანავე.

საქართველოს მწერალთა კავშირი,

დავით ალმაშენებლის წინამდლოლობით
დიდგორის ომში ძლევამოსილი გამარ-

ჯვების 900 წლისთავისადმი მიძღვნილი
პატრიოტული ლექსების კონკურსის

„დიდგორი საკეთოველი“ და წიგნის „დიდ-
გორით დიდი გული აქვს ქართველს“ მხ-

არდაჭერისათვის, დიდ მადლობას მოა-
ხსნება:

სილანის მუნიციპალიტეტის
მერიას, ბოლნისის მუნიციპალიტეტის

მერიას, მარნეულის მუნიციპალიტეტის
მერიას, თეთრინიშვაროს მუნიციპალიტე-

ტის მერიას, ქუთაისის მერიას, სოხუმის
სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბათუმის

მწერალთა სახლს, „კახურ ტრადიციულ
მედვინეობას“ KTW.

ბატონებს: გიორგი გოგილაშვილს,
კახა კობერიძეს, მერაბ კირკიტაძეს,

სიმონ (კახა) მაჭავარიანს, შოთა რეხვი-
აშვილს, დავით სონღულაშვილს, ზაურ

ტაბატაძეს, გიორგი ქორიძეს, დავით
შერაზადიშვილს, ზურაბ ხონელიძეს,
იოსებ ხახულიშვილს.

დარეჯან ბასილაძე

მიყვარს შენი ვენახები,
პური-ლვინო კახური,
ტრადიცია მიყვარს შენი,
რასაც ჰქვია ქართული.
ყველა მიყვარს, ვინც კი შენთვის,
წვეთი სისხლი გაიღო,
ცხრა ძმასავით ერთი თხილი,
ვინც თანაბრად გაიყო.
საქართველო მიყვარს შენი,
„მოგლეჯილი“ ნაწილი,
შავშეთი და ტაო მიყვარს,
იმერხევი - ართვინი.
მიყვარს შენი საინგილო,
აფხაზეთი, ცხინვალი,
დამიბრუნე დაკარგული,
ამიხდინე სიზმარი.

საქართველო

პატარაა საქართველო?

არ ეგონოს არავის,
საჟუთარი გაგვაჩნია,
უძველესი ანბანი.
ამდენ ბრძოლის გადამტანი,
სულით მაინც ვერ დაგვცეს,
მამა შვილს და შვილიშვილებს
გმირობები გადასცეს.
მიყვარს შენი თბილი ხალხი,
შენი წესი-ადათი,
საქართველოს რომ ლოცავენ,
ყანნით მამა-პაპასი.
მიყვარს შენი გუთინისდედა,
დედა ენა ქართული,
ქართველ ქალის გმირობები,
ლეგენდებად განთქმული.

უსამართლობის ვზიდე მორები,
მაგრამ არასდროს
არ ვგრძნობდი დაღლას,
არ შევუშინდი მუხთალ ცხოვრებას,
რადგანაც გვერდში
უფალი მყავდა.
არვის ვურლევდი სულის სიმშვიდეს,
ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობდი მუდამ,
იცით, რამდენჯერ გული მატკინეს,
იმდენჯერ ყველას სიკეთე მსურდა!

აი, რამდენი სიტყვაა ხალი...

ქალი - მეუღლე, შვილების დედა,
ქალი ღიმილი, ტკივილი, სევდა,
ჩაუქრობელი შუქურა ქალი,
ნატვრა, სიკეთე, ალერსი, ქნარი.

ქალი სიცოცხლე, ბედნიერება,
ქალი სინათლე, ქალი ოცნება,
დაუღლელი და სულით ძლიერი,
სიყვარული და პატიოსნება.

ქალი წყაროა წმინდა, ანკარა,
ქალი სამყარო შეუცნობელი,
კაცის ნეკნიდან გამოძერნილი,
ზოგჯერ მაცდური, მიუწვდომელი.

და ვერ ჩამოთვლი სიტყვატა კრებულს,
რაც არის ქვეყნად სათონ და ნაზი,
რამდენი სიტყვა არსებობს კარგი,
თურმე იმდენი ყოფილა ქალი.



შოთა აკობია - 100

1996 წელს, სექტემბრის ერთ დაღვრემილ დღეს, ქ. სოხუმში გარდაიცვალა საყოველთაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დიდებული ქართველი პოეტი, ბრძენი შემოქმედი, წინგახედული მოაზროვნე, აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) ქართული ლიტერატურული სკოლის მაღალ და ანგარიშგასანევ სიმაღლეზე ამყანი, რაც მთავარია, დიდი ილიასა და დიდოსტატ კონსტანტინეს ბეჭითი მოსწავლე, ზეიად გამსახურდიას ერთგული ამომრ-ჩეველი, ავდროებისგან გაუბედურებული და მძიმე ავადმყოფობისგან გამოხრული მოთა სოფრომის ძე აკობია.

მოგეხსენებათ, ეს ის „უნდობარი“ გახლდათ, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) პოლიტიკურად მოთარეშე „ანაკავე“-ური დიდმპყრობლობა და მისი საოცაპაციო რეჟიმი, რომელიც სინამდვილეში ველიკოდერული კრემლის რიგით ხელისპირად იქცა, კრემლის პროპაგანდისტული სამსახურის მიერ გონიერად განვითარდა. „სათაფლისთვე“ ალლუმის იღებდა.

სამწუხაროდ, ამ საყოველთაო სიძეცესა და გამოთაყვანებაში აღმოჩნდენ აფხაზეთის შორის მოსახლიკაცე ადამიანებიც, რომელთაც, აგრესორ-სეპარატისტთა აღმგველობის მიუხედავად, გულთან მიიტანეს ეს უბედურება და ბატონი შოთას ქვრივს, ქალბატონ ნელი ლეფსაის შესთავაზეს სოხუმის პანთეონში მისი საპატიოდ დაკრძალვა.

ჩემი აზრით, დიდი მოღვაწის ლასკარმა, საახლობლომ, ჭირისუფალმა ამასთან დაკავშირებით მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, იგი ზუგდიდში გადმოასვენეს. მით უმეტეს, რომ სახელგანთქმულმა პოეტმა მისთვის მშობლიური სოხუმი, მიუხედავად აგრესორ-სეპარატისტთა თარეშისა თუ მათი ძნელად ასატანი დიდმპყრობლური გამოხდომებისა, კიდევ მეტი - დამაკნინებელი შემოთავედებისა, სოხუმი 1993 წლის სექტემბრის შემდეგაც კი, მას არა და არ მიუტოვებია. იმდენად სისხლხორ-

ცეული იყო იგი მისთვის, რომ თავის უსაყვარლეს შვილებთან და შვილიშვილებთან დევნილობაში ყოფნას, სოხუმში დარჩენა არჩია, რათა, მეუღლესთან ერთად ბოლო დღეები თავისი შემოქმედების ნაფეხურთა თვალშევლება შეძლებოდა.

შედარებისთვის შეგახსენებთ, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ტრაპიზონიდან (მეგრელთა სოფლიდან - სულხან-საბა იორბელიანი) ქუთაისში გადმოასვენეს იმერეთის სახელოვანი მეფის - სოლომონ მეორის ნეშტი. ესეც შეცდომა გახდა, რადგან მეფე სოლომონი ქართულ მინაზე განისვენებდა. მერე რა, რომ ის დღეს თურქეთის იმპერიაში

თავკაცებმა პირადად აღუთქვეს „უსაფრთხოება“ ბატონ შოთას, თან განუმარტეს, თუ გინდათ, თქვენს ისტორიულ სამშობლოში - სამეგრელოში გაგამზავრებთო.

- მე ჩემს ისტორიულ სამშობლოში, ჩრდილო-დასვლეთ სამეგრელოში ვიმყოფებიო, ვრცელი და ხაზგამული განმარტებით უპასუხნია ავთვისებიანი სიმსივნის მეოთხე სტადიით ძალაგამოცლილ ერის ჭირისუფალს, საზოგადო მოღვაწესა და ცნობილ მწერალს.

იმავე დღეებში, ახლა უკვე ეთნოკრატი „მეცნიერები“ სწვევიან და მისთვის სასაცდურო გასამრჯელოს ფასად, „მეგრული დამწერლობის“ შე-

ბია, პირადი და სამშობლოს ბე-დიო გულშეძრული, ზეციურ საქართველოს მიებარა, ჯერ კიდევ ქართველთა სისხლში მობანავე ვლადისლავ არძინბამ ასე განკარგა: თუ მისი მეუღლე ისურვებს, აქ, სოხუმის პანთეონში დაასაფლავეთ, არადა, დავეხმაროთ, თავის ისტორიულ სამშობლოში გადასვენონო!..

სამწუხაროდ, ვლადისლავ გრიგორევიჩის ასეთი ეთნოდივერსიული ტერმინები დღემდე სამუშაო მიზანმიმართულობის ნიშანსვეტია ქართულ საზოგადოებაშიც!

სამგლოვიარო გზამ სოხუმიდან ენგურის ხიდის შუაწელამდე მართლაც მიიღო სახალხო გლოვის ხასიათი, ხოლო ცხედართან მჯდარი აწგანსვენებულის მეუღლე, ქალბატონი ნელი, აფხაზუცესმა - ქალბატონებმა თამარ კვინინიამ და კლარა (გვარს ვერ ვიხსენებ) მარტო არ დატოვეს და სამგლოვიაროდ გამოწყობილები თან ახლდნენ. სოხუმიდან ცხედრის ენგურის ხიდის შუაწანილამდე გამომცილებლებმა, ამ ქალბატონების წინამდლოლობით ჩვენებური სამდიმარი უთხრეს დამხდურ ჭირისუფლებს. მათგან ქალბატონი კლარა ზუგდიდში დარჩა კრძალვამდე და ჭირისუფალი ნელი მარტო არ მიუტოვებია.

სწორედ ასეთი ურთიერთობაა სახვალიოდ დასანიშანსვეტებელი, რომლის მტკიცე კვარცხლებეკი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედანი ვინაობა უნდა გახდეს და არა გაყალბებული განმარტება აფხაზეთის „სხვა ქვეყნის“ შესახებ.

მძიმეა რუსიზმის შედეგები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ის კიდევ უფრო მძიმე იქნება იმ თაობისთვის, რომელიც ქართველთა გონითი განვენის სივრცეს შეხედავს არა ამბროსი ხელაიას თვალებით, არამედ იმ წინგაუხედავის მზერით, რომლისთვისაც ტრაპიზონი მეგრელთა სიფლელი, ანუ საქართველო არა და იქიდან სასწრაფო წესით უპირველეს საქმედ იხდის საქართველოსთვის დამაშვრალი მეფის გადმოვნებას.

დიდ ადამიანთა საფლავებს ერის მარადიულმყოფი მოვალეობა უპირვენდებათ!..

წუთჩაფიქრება: წლების შემდეგ ქალბატონმა ნელიმ, პატივცემული შოთას მეუღლემ, ერთ ჩვეულებრივ დილას, ღამით ნანახი სიზმარი გაუმხილა შვილებს, - ვითომ შოთა და ალექსი (ალექსი ჯონუა, აფხაზ პოეტი, ბატონ შოთას კბილა და უახლოესი მეგობარი) მესტუმრნენ, აქეთ-იქედან ხელკავი გამომდეს და წამიყვანეს...

იცინეს, იხუმრეს და... თხუთმეტ წელში მხცევანი ქალი ცუდად გახდა, ამის თქმალა მოასწრო, - მოდი და სიზმარი ნუ დაუჯერებო!..

სერგი საჯაია

შოთა აკობიას უკანასკნელი დღეები ტყვეობაში

(ნაწყვეტი სერგი საჯაიას ახალი
ნიგნიდან „საფიზნო ინგირცმელებაში
მეამბოხე საფლავთა სახელით)

მოექცა, მოვა დრო, აღსდგება იქ ქართული შინაარსი, ხოლო მანამდე ამ ძალისხმევის წამგაუცდენლობას ის საფლავი სწორედ იქ უნდა მიგებებოდა და სრულიად საქართველოს ნიშანსვეტად.

ასევე აწგანსვენებული შოთას მიმართებითაც: მისი საყოველთაოდ ცნობილი მამულიშვილობა საჭირო იყო დროებით ოკუპირებული სოხუმის გამინარასებლად (აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებას არ ეპატიება, რომ დღემდე გამოუქვეყნებელია 1989-96 წლებში მის მიერ სოხუმის მოვლენებზე დაწერილი ფასდაუდებელი ამბები, მოგონებები და პოეზია...).

ახლა კიდევ ერთი: პოეტ შოთა აკობის გაპატიოსნებაში რაღაცა დროით გულწრფელად მიიღო სახლიკაცობის ხასიათი.

აქ არ ვსაუბრობ შემწეობასა თუ ქვრივს, ქალბატონ ნელი ლეფსაის შესთავაზეს სოხუმის პანთეონში მისი საპატიოდ დაკრძალვა.

რაღა დაგიმაღლოთ და მანამდე იყო მისი დახვრეტის მცდელობა, როცა სახლში მიუვარდნენ გონებადახშული თოფოსნები და სასოწარვეტილი მეუღლის თვალისწილი შებლზე მიადგენ ავტომატის ლულა. მაშინ მტრის ლულაზე მისმა ვაჟუაცურმა ხელის აკვრამ თვით ამ უგნურებზეც მოახდინა შთაბეჭილება და ისინი უსიტყვოდ გავიდნენ, მაგრამ ამ ძალადობას ხომ უნდოდა გაძლება და გადატანა?!.

ამ თავდასხმის შემდეგ, „გამარჯვებულ“ აგრესორ-სეპარატისტთა

ქმნა შეუთავაზებიათ.

არამკითხე სტუმრები ამჯერადაც გაუნდილებია აწგანსვენებულს: - თქვენ, ეტყობა, დაგავინიყდათ, რომ მეგრებმა, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, კინაღამ სამი ათასი წლის წინ შეიქმნეს ასომთავრული, ნუსხური და მხედრული ანბანი. ის კი არადა, მეოთხეც შემოგვიჭერქვეშეს ჩვენმა ჭკვიანმა ქალბატონებმა აჭარიდან, - დედაბრული ჰქვია მას და რა აუცილებელია, რუსული შრიფტის საფუძველზე, „მეგრული“ დამწერლობის შექმნაო!

ამის შემდეგ ეთნოდივერსანტებმა „მეგრელი“ სულგაყიდულები „მიუკეთილნათესავეს“ მას, აი, ისინი, შემდგომში ე. წ. გაზეთი „გამ“ რომ გამოსცეს: დაანებეთ ამ საქმეს თავი, საუკუნოდ დაინყელით არა მარტო თავს, მთელი სამეგრელო შერისხავს თქვენს მოდგმასო!.. კვლავ გაჯიუტდა ბალიშზე თავმიდებული სნეული მოღვაწე, თურმე.

სხვთაშორის, აგრესორ-სეპარატისტთა „საპატიო“ ტყვეობაში იგი როცა იქ ამგვარი ხმალჩაუგებლობით იგერიებდა ეშმას, აქ, თბილისში, ე. შევარდნაძისთვის სულმიყიდული ხროვა ხელისუფლების ზურგის ქარით მონავარდე, თავისი ვითომმწერლურ შანტრაპასთან ერთად, შემოქრთამებული დიდდ



**პორჯ უილიამ ჩაველი
(1867-1935)
თავისუფლება**

არ მოგდევ ახლა, რომ შეგაჩერო,
ვერც გაგიმტყუნებ ზესწრაფვას უქრობს,
სიტყვას არ დავძრავ, ჩიტუნავ ჩემო,
იმისთვის, რომ აქ კვლავ დაგაბრუნო.

შენში თავისუფლება მიყვარს მე ძალზე,
მიზიდავს ერთობ ეგ სატყუარა.
იმ სინათლისკენ, შენ რომ ისწრაფვი ასე,
მეც მივიღო შენთან ერთად, ჩემო პატარავ.

იქ კვლავ ერთმანეთს შევხდებით, კარგო,
თუმც ასე შორს ვარ მე ახლა შენგან,
სადაც ვიჩქარით, იქ არის მარტო
სიყვარული და თავისუფლება.

გზების გაყრა

უვარსკვლავებოდ და უმზეოდ
შავი ზეცა თავისთავად განაცრისფერდა.
შუბლზე მწველი ოპალის სხივი აგითამაშდა,
ყოველივე როცა დამთავრდა.

ჰო, გვირგვინს ირგებს გამარჯვებული,
თუმცა ბრძოლის დროს ვინ იზეიმებს!
რა გაიმარჯვებს ან რა გაქრება,
მას ვერც სიტყვა, ვერც რამ ნათელი
ვერ მოჰყენს სხივებს.

შემდეგ მრავალი წელი წაიღებს
ამდროინდელ სიხარულს, დარდს და...
მაშინ არც სიბრძნე გვეყო, სიტყვაც არ
თქმულა,
ერთადერთი ეს ძალა იყო, თუ რამ გაგვაჩნდა.

აღარც სინაზე იყო იქ, არც სიფაქიზე,
არც შუბლი ჩვენი სიყვარულით არ შერხეულა,
ჩვენ უბრალოდ ველარ ვგუობდით
მარტოობას და ყოფნას ეულად.

არც ის ვიცოდით, თუ იპოვიდნენ
მონანიების ერთ დღეს ჩვენს სულებს,
ვარსკვლავებთან ერთად მოსრიალებს,
ან მინიერ ნისლში, სადლაც, მიმქრალებს.

მზის ამისვლისას ფერადმა ალმა
დედამინაზე რომ ჩამოალნია, მე შემოგხედე,
ჯერ გაურკვევლად, კეთილშობილი შენი ლიმილით,
ვით საკუთარი დედმამიშვილი, შემომეგხე.

და ჩვენ ორივე ძველ სიყვარულს დავემშვიდობეთ,
სხვა სიყვარულმა გვიხმო თავისეკნ,
უთვალავი და აღუნერელი რომლის ფორმები
ადამიანის გულს ჰგვრის შვებას და სიხალისეს.

**ოსკარ უაილდი
(1854-1900)
გაგდალინები დადის**

ცაზე უამრავი პატარა თეთრი ღრუბელი დარბის,
ველები ოქროსფრად დაუფარავთ ყვავილებს მარტის,
ფეხქვეშ ელავენ ნარცისები, ხოლო მწვანე ნინვები
მოუსვენარი შაშვის ფრთხიალით ნაზად ირწევა.

ფაქიზი, ამ სურნელი მოაქვს ნიავქარს დილის,
სურნელი ფოთლის, ბალახის, ახლად დაბარულ მიწის.
ჩიტები გაზაფხულს სიხარულით შეუღურტულებენ,
ხეთა შრიალში ტოტიდან ტოტზე ხტუნავენ, ფრენენ.

ნანა შალამბერიძის თარგმანები

ტყე გაზაფხულის ხმებით სულდგმულობს
და სიმშვიდეს პპოვებს,
ვარდის კვირტები სკდებიან, ვარდისფრად
ფერავენ რტოებს.
კროკუსის დისკო არის ცეცხლის მთრთოლვარე
ის მთვარე სრული,
ქამრად ამეთვისტოს რგოლი რომ აქვს გარშემორტყმული.

ფიჭვს თვითმფრინავი სიყვარულისას უამბობს ზლაპრებს,
ვიდრე ის ფიჭვი სიცილით მოიხსნის მოსასხამს მწვანეს.
თელამუდების წყვდიადს არღვევს ზამბახის ბრნყინვა,
ცისარტყელას ფერთა და მტრედის ვერცხლისფერ
გულ-მკერდის ბზინგა.

შეხე! ტოროლა მდელობში ბუდიდან აფრენას იწყებს,
აბლაბუდებსაც გააღწია, ცვარსაც გაუსხლტა ისევ.
მდინარეზე კი ქვემოთ ლურჯი ალი ციმციმებს ახლა,
ისარივით ფრენს ჭარლიც და ჰაერს ჭრილობა
ეტყობა ნათლად.

**პოზაზ მარი პლანკენი*
(1887-1916)**
მის სისხლს მი ვარდა ვეღავა

მე ვარდზე ვხედავ მის სისხლს მჩქეფარეს,
ვარსკვლავებში კი ვხედავ მის თვალებს.
მისი სხეული მარადი თოვლის ფონზე ელვარებს,
ზეციდან ცვივა ცრემლები მისი.

მის სახეს ვხედავ მე სუყველა ყვავილში თითქმის,
მისი ხმა არს თვით ქუხილი
და ჭიჭიკი ჩიტის,
კლდეზე ნაკვეთი ეს ჩუქურთმებიც მისია, მისი.

ეს მან გაკვალა ბილიკი ყველა,
მისი გულია ის, რითაც თავად ზლვა ღელავს,
ეკლის გვირგვინზე ყველა ეკალი ორმაგი არის
და ყველა ხეც კი მისია ჯვარი.

მე დავინახა მზა შუაღავეს



დავინახე, მზე შუაღამეს წითლად
რომ აკაშპაშდა,
მძიმე, ბრდლვიალა მნათს მუქი სისხლის
ლაქები აჩნდა,
დავინახე, თუ როგორ სწრაფად იცვალა ზომა
და გაიზარდა,
ვიდრე იგი ყველა ვარსკვლავს
გადაფარავდა.
თავი დახარა ზეცამ, როცა მისი
გულიდან უცერად
მუქი წითელი წვიმა დაეშვა დაბლა
წვეთ-წვეთად,
შემდეგ თითქმის ტკივილისაგან
შეთრთოლდა მძიმედ,
კვნესით ჩამოწვა ღამე, იქ რომ
მკვდარი მზე დაეკიდა.

მზეო, ქრისტეო, სისხლმდინარე გულო,
ბრნყინვა მარადის,
შენ იტანჯები და ინვი ჩვენი
სიცოცხლისათვის
და უსასრულოდ ასე აგრძელებ,
ჩვენ რომ ვიცოცხლოთ,
გვერდეს უფლება, შენი სახელი
ვაქოთ, ვადიდოთ.
შენ დედამინის სანაცვლოდ ხომ
მძევლად ზეცა გყავს,
ხოლო ჩვენ ჩვენივე ამპარტავნება
გვარცხვენს და გვტანჯავს.

სასიხარულო ცნობა ისრაელიდან

ნაყოფიერად მუშაობს ისრაელში მცხოვრები ქართველი-ებრაელი მწერალი იაკობ პაპიაშვილი. იგი ებრაულ პრე-საში სისტემატურად აქვეყნებს ცნობებს თავისი ყოფილი სამშობლოს, საქართველოს შესახებ და ამით აგრძელებს იმ ოცდაექვსაუკუნოვან ტრადიციას, რაც ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის ოდითგანვე ჩაისახა და დღესაც წარმატებით გრძელდება. ახლახან ისრაელიდან ფრიად სასამოვნო საჩუქარი მივიღეთ. ესენი გახლავთ ივრითის ენაზე გამოცემული სამი წიგნი. კერძოდ: 1. მაღალმთიანი საქართველოს სინაგოგა და დიდი მეცენატი; 2. რევაზ მიშველაძის ნოველების კრებული „იერუსალიმი - თბილისი“, რომელიც ახლახანს მეორეჯერ გამოვიდა ივრითის ენაზე (მთარგმნელები იაკობ პაპიაშვილი და იგორ შალმანი); 3. რომანი „გაგრა“.

მაღლობას მოვახსენებთ ბატონ იაკობს მისი უანგარო სამსახურისთვის საქართველოს მიმართ და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.



დავით გაბუნია

აფხაზეთის ლიტერატორთა და ხელოვანთა შემოქმედებითმა გაერთიანებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა პოეტი დავით გაბუნია.

ის გამოირჩოდა როგორც თავისი მრავალმხრივი შემოქმედებით, ასევე ადამიანური ლირისებით.

დავით გაბუნია 1931 წელს მარტვილში დაიბადა.

იგი, ნლების მანილზე, მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის ქ. სოხუმის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ და ბუნებრივი, უდიდესი წელილი შეიტანა აღზრდა-განათლებაში.

1993 წელს, ცნობილი მოვლენების გამო, დავით გაბუნია მეუღლესთან, უზრნალისტ დოდო ნარმანიასთან ერთად, იძულებული გახდა, დაეტოვებინა აფხაზეთი და საცხოვრებლად გადასულყო შეიღებთან, ქალაქ მოსკოვში, სადაც, ასევე, აქტიურად ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას...

დავით გაბუნიას გამოცემული აქვს ოცზე მეტი პოეტური კრებული...

საყურადღებოა ქ. მოსკოვში გამოცემული ორტოლმული („ზარები ნიუარებში“, „ფოთოლცვენის ლანდები“). წიგნები ნათელი დასტურია, რომ ფესვებთან განშორება ოდნავადაც ვერ ანელებს სამშობლოსადმი სიყვარულს.

2012-2013 წლებში დავით გაბუნიამ გამოსცა ოთხტომეული — „ცისა და მინის ოთხი ხევიანი“ („ვარდფურცლობის დღესასწაული“, „კივიან სამრეკლოს ზარები“, „ფერიცვალების ველი“, „საშორის ფესვები“), რომელიც 6. ბარათაშვილის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

ასევე, მეტობეველისთვის ხელმისაწვდომია დავით გაბუნიას მიერ თარგმნილი კლასიკური პოეზიის ნიმუშები (გოეთე, ბაირონი, შელი, ქითის, უიტმენი, ლორკა, ესენინი). კრებული 2017 წელს გამოსცა გამომცემლობა „უნივერსალმა“.

დავით გაბუნიას შემოქმედების შესახებ ვრცელი წერილი (ავტორი ც. მესხია) გამოქვეყნდა კრებულში „აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან“, რომელიც გამოცემულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

დავით გაბუნიას შემოქმედებას ჰყავს თავისი მეტობეველი და შემფასებელი. სხვა საგულისხმო ნიშნებთან თუ ღირებულებებთან ერთად, მისი ლექსები გამოირჩევა განსაკუთრებული სისადავით. ავტორი ახერხებს, დანახოს მკითხველს, თუ რამდენად გულწრფელია კველა ის ემოცია, რომელიც მოაქვს მის სტრიქონებს და რადგან ყველაფერი ცრემლებამდე ნამდვილია, პოეზია აუცილებლად ისაკუთრებს თავის წილი სივრცეს...

დავით გაბუნია იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც განსაკუთრებული ხილი შესძინა აფხაზეთის ქართულ მწერლობას და თამამად ვიტყვით, რომ მისი შემოქმედება პოეტის მარადიული საოგნის საწინდარია.

აფხაზეთის ლიტერატორთა და ხელოვანთა შემოქმედებითი გაერთიანება

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუნიტიან, რომ გარდაიცვალა

ზონა სოლომონიშვილი

და თანაუგრძნებელი განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუნიტიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსიშვილი

და თანაუგრძნებელი განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუნიტიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ კვარაცია

და თანაუგრძნებელი განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუნიტიან, რომ გარდაიცვალა

გორგი ჭავია

და თანაუგრძნებელი განსვენებულის ოჯახს

ზარა ჯონსი

საპნის ბუშტივით სკდება ოცნება - ხანდახან ვამბობა - დრო მომერია,

უწინ სიგიურე ვარქმევდი ლოდინს და სიყვარულის მელანქოლიას.

ჰო, სიყვარულის მელანქოლია - გულს საუკუნოდ გამოჰყოლია, გეუბნებოდი ყოველ დღე თითქმის - ჩემი სუნთქვა ხარ,

უფრთო ფერია.

დრო ვერ ანელებს ცოცხალ

ნაკვერჩლებს, თუმც ალაგ-ალაგ ჩნდება ნაცარი, მიმოყრილია წერილთა დასტა - შემოდგომას ჰგავს სულის საყდარი.

საპნის ბუშტია ხშირად ოცნება, შემოგიყედე თუმცა საგულეს, მე რომ მიყვარდა - ის ქალი ახლა -

შემორჩენია ხსოვნის ნაპირებს.

დრომ თავისი თქვა -

მეც კუყვებოდი, არაკებს ჩვენზე შემონახულებს,

ხან აალდება ცეცხლი მიმქრალი, სახეში მაყრის ფერფლებს წარსული,

დროს დავიბრალე ან უფრო სწორად,

პასუხი კითხვის გადავაბრალე, ყვავილნაყარი სული შემომრჩა - ჩამოლვენთილი ტრფობის სანთელი.

ფიქრია ბროლაშვილი

მზე შემოდგომის დამნათის ციდან, სხვები მითბობს სულსა და სხეულს, მოვილტვი შენთან ლოცვით და რწმენით,

რომ კვლავ ვემთხვიო შენს ნაგვეგმ სხეულს.

ყველა ტაძარში რწმენით გეახებ, გულწრფელი იყო ყოველი ლოცვა, შენთან მოვედი, ჩემი უფალო,

გთხოვ, მომიტევე ყოველი ცოდვა.

ნაღალატევს და ვერცხლად გაყიდულს, ლვთის სიყვარულით ცრემლი გდიოდა, ნაწარმებსა და ძალაგამოცლილს,

სხეულზე მეტად სული გტეკოდა.

იტვირთე ცოდვა ადამის მოდგმის, ჩვენთვის ენამე, ჩემო უფალო,

შენთან მოვედი შენი მორჩილი,

რომ ნაიარევს ლოცვით ვუნამლო.